

# დასოფელი და სოფელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ხმა სამშობლოდან.  
 ივ. ზ—ლი—ბოლშევიკები და ეროვნულ საკითხი.  
 ს. ფირცხალავა—ჩვენი დამოუკ. და სოც. ინტერ.  
 ვიკ. ნიქაძე—ნაფიქრი ხმა მალა.  
 ანა დრაინორსტისა.

—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.  
 საქართველოში.  
 საქართველოს ამბები.  
 საბჭოთა რუსეთში.  
 რას სწერენ ბოლშევიკებზე და სხვ.

## ხ მ ა ს ა მ შ ო ზ ლ ო დ ა ნ

რა დიდი უნდა იყოს ჩვენი სიხარული და კიდევ უფრო სმენად ქცევა, როცა ხმა გვწვდება სამშობლოდან! მოგლევქილი უხეშ ძალისაგან. შორს გადატყორცნილნი, რა რიგ ჰქმნება უნდა მოეცო ჩვენი არსება, როცა გადიოდა თვეები და იქიდან კი არაფერი გვესმოდა?

სანუ გეშოთ ის და დაგვრჩენოდა, რომ სულიერი ძაფი არ იყო ჩვენს შორის გაწყვეტილი, ვგრძნობდით, ასე ვსთქვათ. ინტუიტურათ ერის მაჯის ცემას, ვსწვდებოდით მის გულის სიღრმეს და არ ვერიდებოდით იქ ჩათქმულ იღუმალ ზრახვების გამომქდავებას. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ქართველნი ვართ!

ქართველნი ვართ არა მარტო მოდგმით, სისხლით, არამედ გრძნობითაც, გონებით; განვიციდით მშობელ ერის ჭირსა და ლხინს, თავგადასავალს, განვასახიერებთ მას ჩვენს მე-ში მთლიანათ, ცოცხალს, მარადისებურს.

მაგრამ დიდის ხნით თავის ბუდიდან ამოვარდნა, სიშორე და ემიგრანტული სიდუხჭირე ჰქმნის საბედისწერო საშიშროებასაც უტო ტანს არ მოსწყდეს, არ მოაკლდეს მისი წვენი და არ გახმეს. თან ადვილია ოცნება ერზე, მჭერმეტყველობა მის გმირობაზე, როცა ჯალათი თავს არ გადავია, სუნთქავ თავისუფლათ.

მით უფრო ვამაყობთ, რომ მიუხედავად ყველა ამისა, სამშობლოდან მოღწეული ხმა ესაღმუნება, ამართლებს ჩვენს განცდებს და წარმოდგენებს. რას ვგებულვართ?

პირველი იმას, რომ ჩვენი ერი ისევე მწვავეთ გრძნობს დამოუკიდებლობის დაკარგვას, ისეთივე თავდადებით ესწრაფვის მის აღდგენას, როგორც ოკუპაციის პირველ წლებში. ის გაძვალტყავებუ-

ლია, იტანს აუწყრელ ტანჯვას, მაგრამ ამ ჩონჩხში ისეთი მძლავრი სული ბუდობს, რომ მტერს სასაწარკვეთილებაში აგდებს.

მეორე, ერი გაერთიანებულია, დარაზმული, მასზე ვერ მოქმედებს ვერავითარი გამოწვევა და ელის დიდის მოთმინებით ციხის შიგნიდან განგრევას. ის მოგვიწოდებს ჩვენ, უცხოეთში მომუშავეთ, ასეთ-სავე გაერთიანებისაკენ, მთლიან ფრონტისაკენ.

რაა აქ ახალი?—გვეკითხოს იქნება ვინმემ, მაგრამ ჩვენც შევეკითხებით მას: რას მოვლოდით, რას ეძახით ახალს? იქნება იმას, რომ ერს დაეგდო ძველი გზა, ზურგი შეექცია თავის დროშისათვის, რომელიც მან ააფრიალა 12 წლის წინ!

ჩვენ ვერ წავალთ ასე შორს, არ გვირდა არავინ შეუტაცხვოთ, გვეჯერა, ისინიც, ვინც ფრონტის გარეთაა, კეთილი სურვილებით არიან გამსჭვალულნი, იღწვიან ქვეყნის საკეთილდღეოთ, მისი თავისუფლებისათვის, მზათ არიან მსხვერპლისათვის.

ერთად ერთნი მოლაღატენი, ქვეყნის ორგულნი არიან ისინი, ვინც არ დაინდო მშობელი დედა, ლეჩაქი ახადა მას, ჩვენი არამზადები, მახინჯი ძმები. ისინი განავრძობენ თავისას, მიუძღვიან მტერს ქართველის ოჯახში, სალოცავში მის წმინდათა წმინდის წასაბილწავათ.

მამ რამ აიძულა ისინი, საერთო ფრონტიდან რომ გავიდნენ, რად ებრძვიან მას ასე გააფთრებულათ, ასე დაუნდობლათ? ჰკითხეს თუ არა ერთხელ მაინც თავის თავს, ვის საქმეს აკეთებენ ამით, მტრის თუ მოყვარის, რუსის თუ ქართველის? ჩვენა ვსთქვით, რომ მათ ამოძრავებს კეთილი სურვილები, მაგრამ ვაი თუ ბოროტებისკენ მიყვებართ, გზის გაბრუნებისკენ, საერთო იდეალის დახურდავებისკენ!

დააკვირდით საქმის ვითარებას. ბედმა გვიმოხუ-



ლა, ქვეყანა ვერაგმა მტერმა დაიჭირა. გააუქმა მისი უზენაესი ორგანო—დამფუძნებელი კრება, ეროვნული მთავრობა იძულებულ ჰყო გახიზნულიყო... მაგრამ ვერ არ ურიგდება ამ ძალმომრეობას, იბრძვის დათურგნულ უფლებათა აღდგენისათვის, ანდობს გახიზნულ მთავრობას იმავე უფლებათა დაცვას უცხოეთში.

რას შერებინან გამდგარნი? ებრძვიან... მთავრობას, არ გეგონათ მოსკოვისას, არა, საქართველოს ეროვნულ მთავრობას! მაგრამ ბრძოლაცა და ბრძოლაც. ერთმა ოპოზიციონერმა სთქვა, მთავრობა იმისათვისაა, რომ ებრძოდოდა, და მართლაც, ვინაა ამ ქვეყნად უცოდველი, შეუმცდარი? ჩვენ არც გაგვიკვირდებოდა, კანონიერიც იქნებოდა, რომ ჩვენგან გამდგარებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარონ მთავრობის ესა თუ ის მოქმედება, ნაბიჯები, ერთი სიტყვით, შეებრძოლონ. მაგრამ ისინი როდი სჯერდებიან ამას,—არა თუ ებრძვიან, არ სცნობენ სულაც და სხვებსაც აქეთვან მოუწოდებენ!

მერმე, რას ეუბნებიან ქართველ ერს, რომელიც სცნობს მას, ეროვნულ მთავრობას? და ეს დადასტურებულია საქართველოდან მოღწეულ ერთსულ ოვანის აზრით, აღბუცილ ცალკე დოკუმენტზედ, ხელმოწერილ ჩვენი პოლიტიკურ, ეროვნული პარტიების მიერ. ჩვენი ერთად ერთი მიზანი—გვიტხულობთ იქ—ამ ისტორიულ ხანაში არის ოკუპაციის მოხსნა, დამოუკიდებლობის აღდგენა; ამიტომ ჩვენს შორის არ არის და არც შეიძლება იყოს არავითარი ქიშპობა, არავითარი მუღლი, მზათა ვართ თავი დავდლოთ წმინდა საქმისთვის; ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ უცხოეთში გამოეყვენ საერთო ფრონტს ზოგიერთნი, მთელი ჯგუფი, და ებრძვიან როგორც ფრონტს, ისე ეროვნულ მთავრობას,—ჩვენ ეს დაუშვებლათ მიგვაჩნია და წინადადებას გაძლევეთ შეებრძოლოთ მათ.

როგორც ხედავთ, ხაზი ბრძოლისა აღებული, და ეს არა მარტო მტრის, არამედ ფრონტიდან გასულ ქართველ პატრიოტების წინააღმდეგაც!

რა უნდა ჰქნას ამ შემთხვევაში ჩვენმა გაზეთმა? შეუძლია მას გულგრილათ უცქიროს შინიდან მოცემულ წინადადებას, თუ უნდა შეებრძოლოს ფრონტიდან გამდგართ? გაზეთი არსებობს იმისთვის, რომ ემსახუროს მთლიან ქართულ ფრონტს, მის გაძლიერებას და საერთო ძალით შეუტრის მტერს, ერთად ერთ მტერს—საოკუპაციო ხელისუფლებას და მის აგენტებს—ჩვენს არამზადებს,—მას კი ეუბნებიან, ებრძოლე აგრეთვე ფრონტიდან გამდგართო! მდგომარეობა ერთობ სერიოზულია.

გამდგარნი ამბობენ «დამოუკიდებელი საქართველო» უნდაა, რას გულისხმობენ ამაში? თუ იმას, რომ გაზეთი ატარებს არსებულ ფრონტის ხაზს, ისინი მართალი არიან. მაშ როგორ აქვთ მათ წარმოდგენილი საერთო ორგანო მუშაობა? მაგრამ თუ წერის თავისუფლებასა და პარტიის, რედაქციის დამოუკიდებლობას, მაშინ, ნურას უკაცრავათ, არავითარ ცენზურას არ ჰქონია ადგილი და არც ექნება არასდროს.

გაზეთის დანიშნულებაა, როგორცა ვსთქვით,

ემსახუროს ქართულ ფრონტს, რაც იგივეა—ბრძოლა, დაურიდებელი ბრძოლა საერთო მტერს. ამ ფარგლებში და ამ მიზნისათვის ჩვენ არ გავუბრუნდით, თუმცა სხვა კილოთი და სხვა მიდგომით. დაგვეცვა ფრონტი გამდგარებისავე, მაგრამ ეს შინაური უთანხმოება ჩვენ ვცდილობდით არ გავგვეღრმავებია, არ მოგვეწამლა, პირიქით. წინ გამოგვეწია გამაერთიანებელი, უკან დაგვეხია გამყოფელი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს და ქართველ ერს აქვთ შინაური საქმეებიც, მიუწოდებელი გარეშეთათვის. ამ საქმეებში ჩვენ ვგულისხმობთ როგორც დადებით მუშაობას დიპლომატიურ თუ რევოლუციურ სფეროში. ისე კრიტიკას, გულახდილს, კეთილგანწყობილს, ინტიმურს.

რას შერებინან გამდგარნი? ისინი არ სჯერდებიან თავდასხმებს თავის ორგანოში. «სამშობლო»-ში და ბრძოლა გადააქვთ რუსულ «ნეზავისიმი კავკაზ»-ში. კიდევ მეტი, ისინი გვერდში ამოდგომიან მუშობლების უკმაყოფილო ელემენტებს და აქეზებენ მათ საქართველოს ეროვნულ მთავრობის და მის ირგვლივ შემოკრებილ პარტიების წინააღმდეგ. სრულიად წარმოუდგენელი ამბავი!

რუსებსაც რომ მასალას აძლევენ ჩვენი საქმის გასაბახებლათ, მის ჩასაქოლავათ! რასა ჰგავს ეს, ნუ თუ ესეც მამულიშვილური საქმიანობაა? მათ ავიწყლებათ ელემენტარული რამ: საქართველო ოკუპაციის ქვეშ იმყოფება, ოკუპაციას არა სცნობს ბევრი სახელმწიფო, სრულუფლებიანი საელჩოცა გვაქვს, ერთა ლიგაშიც სდგას ქართული საკითხი,—და ამ დროს გამდგარნი საჯაროთ, მტრის გასავლანთ, უცხოელ მეგობართა გასაოცებლათ გაიძახიან: ჩვენ «ტაბულა რაზა» ვუყავით ყველას და ყველაფერს, რაც გვაერთებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის კონსტიტუციასა, მთავრობასა, პარტიებთან.

დიან. პარტიებთან, რადგან დამოუკიდებლობის დროის მმართველ პარტიას, ქართველ სოციალ-დემოკრატიას, ისინი მეკდრად აცხადებენ! როგორ ფიქრობენ, სოციალდემოკრატიის გაქრობა მეტ სახელს მოუხვეჭს ჩვენს ქვეყანას, მეტ თანაგრძობას შესძენს. მეტ იმედს ჩაუნერგავს ჩვენს ერს მის მომავალზე? არა, რა თქმა უნდა.

«ნეზავისიმი კავკაზი» აყენებს ერთ მძიმე ბრალდებას, ქართველ სოციალდემოკრატებს, მთავრობისა და პარტიის მეთაურებს არა სწამთ კავკასიის კონფედერაცია, პირფერაცია, ებრძვიანო. ესაა მათ უკაცრავი იციან, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიის ივლისის კონფერენციამ კანონად დაუწესა პარტიის წევრებს შინ და გარეთ კავკასიის კონფედერაცია. მაშ ეს ბრალდებაც უკუგდებოდა.

რადა გავავრძელოთ, თითქო ყველაფერი ნათელია და მარტივი, დროა გამდგარნი არ აყვენ ვნებათაღელვას, ჩაუფიქრდენ ჩვენს აწმყოს, მომავალს, დაუმინონ ისარი იმავე წერტილს. რომელსაც ჩვენ ვუმიზნებთ, სტყუარცნოდ მხოლოდ მას. საერთო მტერს, საშინელს, გაუგონარს, ბანჯგვლიანს.

ნუ ეძებთ მტერს შინაურობაში! პირიქით. ეცადეთ საერთო ენა გამოიხატოთ; ჩვენ არ ვამბობთ მეორე მხარეზე, ჩვენმა მხარეზეც არ უნდა ეძიოს



იგი, არა, ორივემ ვეძიოთ, გამოენახეთ უთუოთ.  
 რატომ? იმიტომ რომ ქართველნი ვართ, აი ბაზა, ერთად ერთი ბაზა ურთიერთი ნდობისა და თანამშრომლობისა. გვახსოვდეს, საქართველო სახელმწიფოა, მას აქვს თავისი პოლიტიკა, საშინაო და საგარეო, არაქართველს, თუ გინდ მეგობარს, არ უნდა ჰქონდეს ხელი მის გულში საფათურებლათ.  
 ქართველი ვერი, სახელმწიფოებრივი ქართველი

ერი, დაყურსული ათასწლეული მწარე გამოცდილებით, ჩაგრული და გაწილებული, გაერთიანებული და შეუდრეკელი, სულგანაბული მომლოდინე გადაწყვეტ ქამისა ერთ ბანაკისკენ მოგვიწოდებს ყველა მის შვილებს.  
 ხმა ერისა ხმა ღვთისაა—უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, ამას გვიმეორებს ხმა სამშობლოდან.  
 ვის მივით!

### ბოლშევიკები და მარქსული საკითხი

«საკავშირო კომპარტიის მე-16 ყრილობამ აღნიშნა, ვკითხულობთ გაზ. «კომუნისტი» ა. წ. 30 ოქტომბრის მეთაურში, კლასიურ ბრძოლის გამწვავებასთან ერთად... აქტიურ სასიათს ღებულობენ ნაციონალური გადახრები როგორც დიდმპყრობელურ, ისე ადგილობრივ შოვინიზმისაკენ».

მეთაურის სიტყვით, ყრილობამ დიდმპყრობელური გადახრა აღიარა მთავარ საფრთხედ, და თავის მხრით დასძინა: «დიდმპყრობელური შოვინიზმი გვერდს უხვევს... ნაციონალურ კულტურების შექმნას და არსებითად (აქ ვაზეთს მოჰყავს «ამხ.» სტალინის საკუთარი სიტყვები) «ისწრაფვის წინაღობა და ჩაგრულ ეროვნებათა ნაციონალურ კულტურათა დაშლას, მათ ლიკვიდაციას».

და ამ მოვლენას,—ნაციონალურ გადახრებს როგორც დიდმპყრობელურ, ისე ადგილობრივ შოვინიზმისაკენ,—სასტიკ ბრძოლას ემუქრება ყველა,—საკავშირო ყრილობა, ბოლშევიზმის თვითმპყრობელი, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი და თვით განვითარ.

წუ გამოუდგებით იმის მტკიცებას, რომ იქ, სადაც დიდმპყრობელური შოვინიზმი არსებობს, ზედმეტია ადგილობრივ შოვინიზმზე ლაპარაკი, რომ შოვინიზმის სახელით ხშირად ინათლება ჩაგრულ ერის ისეთი მოქმედება, რომელშიაც გამოიხატება ბუნებრივი და ამიტომ სრულებით კანონიერი დიდმპყრობელ ერის შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ამიტომ უფრო თავის დაცვა ეწოდებანუ გამოუდგებით ამას და დავკმაყოფილდეთ ჯერჯერობით იმით, რომ სრულიად რუსეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობამ და მისმა სულის ჩამდგმელმა საყოველთაოდ აღიარეს საკავშირო ხელისუფლების დიდმპყრობელური შოვინისტური ხასიათი და მის წინააღმდეგ გამხდრებას აპირებენ.

მერე როგორ? ყური უნდა დაუვდოთ, როგორის რისით იცავენ ჩაგრულ ერების კულტურასა და ენას.

«დიდმპყრობელური ნაციონალიზმი... ემყარება არსებითად რეაქციონურ აზრს ერთი მთლიანი ერის შექმნის შესახებ. ამბობს ზემოხსენებულ მეთაურის დამწერი; დიდმპყრობელურ ნაციონალიზმის მომხრეთა თვალთახედვით, მაგალითად, ამიერკავკასიაში მმართველობის გამარტივება, აპარატის მოხერხებულობა, თითქმის შესაძლებელია შეიქმნას ერთის ენის შემოღებით იმის მაგივრად, რომ ყოველ-

მხრივ ხელი შეეწყოს ადგილობრივ ეროვნებათა კულტურულ ამაღლებას, მათ კულტურულ აყვავებას.»

და მეთაური განაგრძობს:

«სწორედ ამიტომ საჭიროა სასტიკი ბრძოლა დიდმპყრობელურ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა იმ ბიუროკრატ-მოხელეთა წინააღმდეგ, რომელნიც ილწვიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების ლიკვიდაციისათვის და რომელნიც, როგორც ნათქვამია ეს საოლქო კომიტეტის მიმართვაში, მმართველობის მოხერხებულობას აყენებენ პროლეტარიატის ნაციონალურ ინტერესებზე მაღლა»...

«ეროვნებათა კულტურული ამაღლება»!

«მათი კულტურული აყვავება»!

«პროლეტარიატის ნაციონალური ინტერესები!» კომუნისტური ვაზეთია, რომ ხმარობს ამ სიტყვებს, თუ ნაციონალისტური?

ჩაგრულ ერების, მათ ეროვნულ კულტურისა და ენის დაცვა და... სტალინი, რუსეთის კომუნისტური პარტია და ქართულის ასობით აწყობილი «კომუნისტი»!

ცხადია თუ სიხმარი? არ გიკვირს? გაკვირვება რასა ქვიან, არ გაშტერებულხარ, მკითხველო?

მაგრამ... დამშვიდდი, ნურც გაიკვირვებ და, მით უმეტეს, ნურც გაშტერდები.

ჯერ დააკვირდი იმ ახირებულ ამბავს, რომ «თვით-მპყრობელი «ამხ.» სტალინიც, საკავშირო კომუნ. პარტიის ყრილობაც, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტიც და გაზ. «კომუნისტიც» ისეთის ენით კიცხავენ ამ დიდმპყრობელურ შოვინიზმს, თითქმის რაღაც მათ ვარეშე მყოფ ძალის მიერ ყოფილიყოს მოგონილი და ნაწარმოები, თითქმის ყველა ისინი არაფერ შუაში ყოფილიყვნენ.

მართალია, «კომუნისტი» მეთაურს გამოუძებნია ეს პასუხისმგებელი მესამე პირი; ის სასტიკ ბრძოლას უცხადებს «ბიუროკრატ-მოხელეებს, რომელნიც... მაგრამ ეგ ხომ ღმერთსაც გაეცინება. სხვა ქვეყანაში ასეთს თვითნება და მთავრობის პოლიტიკის არ გამოიარე მოხელეს თუ სამსახურიდგან ითხოვენ მხოლოდ, ბოლშევიკურ სახელმწიფოში ამისათვის ხომ ხვრეტენ და, უკეთეს შემთხვევაში, თეთრის ზღვის ნაპირებისაკენ ისტუმრებენ ხანინის ხარჯით საგარეო.

ჩვენს გაუხედავს რომელიმე ბიუროკრატ-მოხელე ურჩობას?



ბოლშევიკური ზნე-ჩვეულება რომ ვიცით, ჩვენ-თვის ცხადია, რომ თუ დიდმპყრობელური შოვინიზმი არსებობს მათში,—და ამას ხომ თვითონაც აღიარებენ,—ისევე მათის კურთხევით და წყალობით.

მაგრამ ვსთქვათ, ყველა ამ რიხიანად მოლაპარაკე პირებს, ორგანიზაციებს და გახეტებს არ სურდათ თავიანთსავე თავის საჯაროდ გაწყველა.

ვსთქვათ, მოინანის თავიანთი დიდმპყრობელური შოვინიზმი და მოისურვეს პოლიტიკის გამოცვლა.

იმ ხალხისათვის, რომელმაც არამც თუ ერების თავისუფლება მოსპო, ცალკე პიროვნებაც კი პირუტყვის დონეზე ჩამოიყვანა, ეს იქნებოდა სასწაულებრივი ცვლილება და გამოფხიზლება.

ოღონდ, და უბედურებაც ის არის, რომ მყვირალა სიტყვების უკან სულ სხვა სინამდვილე იხედება.

ნაციონალურ კულტურების განვითარების, მათის ახალის ძალით გაშლის საშუალებად «ამხ.» სტალინი საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი განათლების შემოღებას სთვლის.

პირველდაწყებითი განათლებაც მაინც განათლებათა, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი კი, როგორცა სჩანს, არც ამას უთმობს კავკასიის ერებს. რადგან, როგორც «კომუნისტის» მოწინავე გადმოგვცემს,

«საოლქო კომიტეტის მიმართვა საჭიროდ სცნობს ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში... რადგან ამ ნაციონალიზმს ღრმა ფესვები აქვს და იჭრება კულტურულ მოღვაწეობის ყველა დარგებში: სასკოლო საქმეში, კულტ-განმანათლებელ მუშაობაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, არქიტექტურაში და სამეცნიერო მუშაობის დარგშიც»...

კითხულობ ასეთს რასმე და ვერ გარკვეულხარ, ბოდავს ადამიანი, პროვოკაციას ეწევა თუ ქაუზზე შემცდარია.

ცალკე ეროვნულ კულტურის ამადლება-აყვავებისათვის ზრუნვა და ცალკე, თქვენმა ეროვნულმა მისწრაფებამ ფესვები არ მოიკიდოს და არ შეიქარს

არც ერთს იმ დარგში, ურთმლისოდ არც ერისა და არც მისი კულტურა.

უკეთესს რას უნდა ელოდეს განა ადამიანი ამ ვაჟბატონებისა და მათ გასაოცარ სახელმწიფო წეს-წყობილებისაგან.

ჯერ იყო და უნდა გაგაბედნიეროთ და... დამოუკიდებლობა მოგვისსეს ბოლშევიკურ ფედერაციის «სრულ-უფლებიან» წევრობის ბოძებით.

გაიარა ჩანმა და ამ წევრობის უფლებაც აგვხადეს და მეორეხარისხოვან ფედერაციის წევრობაზე ჩამოგვიყვანეს.

არც ეს იკმარეს. ჩვენი ერის ცხოვრების დიდის რუსეთის ცხოვრებაში გამოქვეყნა ჯალათებმა და ჯერი, თითქო ბათომ-ქუთაის-თბილისი და ალაზნის ველი ტამბოვის ან კოხლოვის გუბერნიები ყოფილიყოს, კოლხოზების შემოღებით ჩვენი მიწა-წყალი რუსულ სამეურნეო რეჟიმს დაუმორჩილეს,

და ბოლოს მოსპეს წამებულ ქართულ კულტურის უკანასკნელი თავშესაფარი,—დახურეს თბილისის უნივერსიტეტი.

და ყველა ამის ჩამდენი დღეს ბედავენ ადგილობრივ შოვინიზმზე ლაპარაკს!

და როგორ მერე? დიდსულოვანობის ნიღაბს იკეთებენ და... სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლის საშუალებით გვპირდებიან ეროვნულ კულტურის აღდგენა-აყვავებას.

შორს სისხლით მელებილი ხელები!

უარესად რომ არ დასცემდეთ ჩვენს კულტურას, ისიც უთიდეხი წყალობა იქნება ცისა, თორემ აღდგენას არავინა ვთხოვთ.

ჯერ თქვენთვისვე გაიხადეთ სავალდებულო პირველდაწყებითი ადამიანურ გრძობათა შემეცნება, და მიზინ მიხვდეთ იქნება, რა რიგ გიწამებიათ ჩვენი ერის სული და ხორცი, რა რიგ წავიბილწათ მისი კულტურა.

და იმასაც მიხვდეთ კიდე იქნება, რომ ქართველ ერის კულტურის ფესვები ძლიერ ღრმად არიან წასული, ისე ღრმად, რომ მათი ამომღებები ძალა ჯერ არ გაჩენილა ამ ქვეყნად.


ოვ. ხ—ლი.

**ჩვენი დამოუკიდებლობა და სოციალ. ინტერნაციონალი**

იმ წერილში, რომლის შესახებ ვილაპარაკეთ «დამ. საქ.» ოკტომბრის ნუმერში და რომელშიაც რუსის სოც. დემოკრატები უარყოფენ თავისავე განსაკუთრებულ დადგენილებას საქართველოს უდავო სუფერენობისათვის, «სოც. ვესტნიკი»-ის რედაქცია იმის დამტკიცებასაც ცთილობს, რომ სოციალისტურ ინტერნაციონალს არასოდეს არ მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება ქართველი ერის საკითხისათვის. ყოველს შემთხვევაშიო, დასძენენ ჩვენი განათვისუფლების მოწინააღმდეგენი: «არ უწყის განა არონსონმა, რომ დღეს სულ სხვაგვარი მდგომარეობაა? განა მან არ იცის, რომ ინტერნაციონალის (ეგზეკუტივის) უკანასკნელი დადგენილება ეროვნული საკითხის შესახებ ს.ს.რ.-კ-ში არაფრით განასხვავებს

საქართველოს და ქართველ სოციალისტებს, როგორც სხვა ერების სოციალისტებს, ურჩევს, რომ არ წამოაყენონ საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე ბოლშევიკური დიქტატურის ლიკვიდაციის დროს, არამედ ისარგებლონ თავისი უფლება თვით-გამორკვევისა დემოკრატიისა და მშვიდობიანობის პირობებში?»

ჯერ ვნახათ. ჰქონდა თუ არა მართლა საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ინტერნაციონალის მუშაობაში? ქვემოთ მოყვანილი უტყუარი ფაქტები გვეუბნებიან, რომ რუსის სოც. დემოკრატების მტკიცება მოკლებულია ყოველსავე საფუძველს. ინტერნაციონალი ჰამბურგის კონგრესზე 1923 წ. ადგენს: «კონგრესი ადასტურებს მეორე ინტერნაციო-



ნალის და ვენის გაერთიანების\*) დადგენილებას საქართველოს საკითხისათვის და მოითხოვს საბჭოთა ჯარების გაყვანას საქართველოდან და ქართველი ხალხის სუვერენობის აღდგენას. იგივე კონგრესი, როცა ლაპარაკობს მუშების და გლეხების დევნის და ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლების შესახებ, ცალ-ცალკე ინსენიებს რუსეთს და საქართველოს. 1924 წ. ინტერნაციონალის ეგზეკუტივმა საგანგებოთ მიმართა თავის პარტიებს: როდესაც მოითხოვთ საბჭოთა რესპუბლიკის იურიდიულ ცნობას, ფსიხლად ადევნეთ თვალყური, რომ ამ ცნობამ ხელი არ შეუშალს საქართველოში რუსეთის ოკუპაციის მოსპობას, და გასწიეთ პროპაგანდა საქართველოდან რუსის ჯარის ევაკუაციისათვის. 1924 წ. აგვისტოსეკტემბრის აჯანყების გამო ეგზეკუტივმა საგანგებო მოწოდებით მიმართა თავის წევრებს, რომელშიაც ასწერდა ქართველი ხალხის მძიმე მდგომარეობას და ავალბებდა კვლავ სოციალისტურ პარტიებს მხარი დაუჭიროთ ქართველების მოთხოვნას: რუსის ჯარის გაწვევას საქართველოდან და ქართველი ერის თავისუფალ რეფერენდუმს! იმავე წლის შემოდგომაზე ინტერნაციონალმა იღმესასწაულა თავის არსებობის 60 წლის თავი; ამის გამო ეგზეკუტივმა გამოსცა მანიფესტი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: სამოცი წლის წინად ერების თავისუფლების უფლების სიმბოლო ჩვენთვის იყო პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა, დღეს ინტერნაციონალისათვის ასეთ სიმბოლოდ არის საქართველოს განთავისუფლების მოთხოვნა. შემდეგ კიდევ ეგზეკუტივმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. თუ როგორ დამახინჯებული იყო საქართველოს მდგომარეობა ინგლისის ტრედუნიონების მოხსენებაში. მანვე გამოსცა ორი წიგნაკი საქართველოს ამბების და იქ გამეფებულ ტერორის შესახებ. 1925 წ. მარსელის კონგრესზე სპეციალურად საქართველოს საკითხი არ ყოფილა დასმული, მაგრამ გამოტანილ იქნა საერთო მოთხოვნა სომხეთის, საქართველოს, უკრაინის და სს. დამოუკიდებლობის აღდგენისა. 1928 წ. ბრიუსელის კონგრესზე თუმცა გაკვრით მაგრამ მაინც მოხსენებული იყო საქართველოს მდგომარეობა!..

ვეიკრობთ, რომ ჩამოთვლილი ფაქტები საკმაოდ და ნათლად ადასტურებენ, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი ყოველთვის ფრიალ დაინტერესებული იყო საქართველოს საკითხით განსაკუთრებულად და მოითხოვდა არა ერთგზის მის დამოუკიდებლობის აღდგენას. და როდესაც რუსის სოც. დემოკრატები დღეს გამოდინან და ცთილობენ თავის ორგანოში ამის უარყოფას, ისინი დიდს თავხედობას იჩენენ, მეტი რომ არა ვსთქვათ. არც ერთს უკუთმყოფელს ადამიანს არ შეუძლია არ დანახვა იმ თბილი ყურადღებისა და თანაგრძობისა, რომელიც ინტერნაციონალს მუდამ ჰქონდა ქართველი ხალხის მიმართ. და

\*) მსოფლიო ომმა წინანდელი სოციალისტური ინტერნაციონალი დაშალა; შესდგა ორი ორგანიზაცია—ლენინის და ვენის. 1923 წ. ჰამბურგში მოხდა მათი შეერთება.

ჩვენც—ქართველები—მეტად ვაფასებდით ამას: ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური ძალის სიმპატიები, როგორიცაა ინტერნაციონალი, ყოველთვის გვამხნევებდა გაჭირვებაში და ენერგიას გვმატებდა ბრძოლაში. ჩვენი სიმართლე—ჩვენი განთავისუფლება—მარტო ჩვენი არ იყო; მას სხვებიც იზიარებდნენ, მან საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ხოლო როცა რუსის სოციალდემოკრატები უარყოფენ უკანასკნელს. ალბად ისიც უნდათ სთქვან, ვითომც ჩვენი მოთხოვნა სამართლიანი არ იყოს—ჩვენი განთავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამიტომაც, რომ ასე მიკიბულ-მიკიბულად ლაპარაკობენ და უნდათ, არამც თუ გააბათილონ ის ყურადღება, რომელიც დაიმსახურა ქართულმა საკითხმა საერთაშორისო ურთიერთობაში, არამედ ლამობენ საერთოდ ეროვნული თავისუფლების მიჩქმალვას და მის განხორციელების ყოველნაირ შეზღუდვას. და ყველაზე უფრო საგულისხმიერო ისაა, რომ თავის შოვინისტურ და იმპერიალისტურ მიზნის მისაღწევად უნდათ სოციალ. ინტერნაციონალს ამოეფარონ ზურგს უკან და ისე გვიჩვენონ, თითქმის ინტერნაციონალი—ეს უფდომი დამცველი და ქმამა ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობისა—დღეს ამ მოძრაობის წინამდევრიც კი გამხდარა, და ამის სახელით ემუქრებიან დაჩაგრულ ერებს—ხელი უნდა აიღოთ განთავისუფლებაზე. განა ამის მაჩვენებელი არაა ჩვენი წერილის თავში მოყვანილი ციტატა?

«სოც. ვესტნიკი»-ის რედაქცია მიგვითითებს ეგზეკუტივის გასული მაისის დადგენილებაზე. რას გვეუბნება უკანასკნელი? იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა ფარგალში მყოფ ერების თვითგამორკვევის უფლებას და აცხადებს გადაჭრით: «თვითუღმა ამ ერთგანმა მხოლოდ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა უფრო უზრუნველყოფს მის ეროვნულ თავისუფლებას—დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო თუ ფედერატ. რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენა». აქ ერთი დიდი ღირებულობის აზრია გამოტყმული, რომ რუსეთის დაჩაგრულ ერებს ეკუთვნით სრული და შეუზღუდველი უფლება განთავისუფლების და არ ესაჭიროებათ რუსების ნებართვა, როგორც ამას ამტკიცებდნენ რუსის სოციალისტები.

მართალია ამ სრულიად სამართლიან და სწორს დადგენილებას დართული აქვს ისეთი პირობები, რომლებიც თითქმის ეწინააღმდეგებიან დადგენილების დედააზრს: დაჩაგრულმა ერებმა არაფერი უნდა მოიქმედონ, რაც ზიანს მიაყენებს დემოკრატის და ზავის ინტერესებს, თავისი იმედები არ უნდა დაამყარონ ეკონომიურ დეზორგანიზაციაზე, სამოქალაქო ომზე, კონტრევოლუციონურ და უცხო ძალებთან შეთანხმებაზე. არამედ ბოლშევიზმის დემოკრატიულ წყობილებად გარდაქმნაზე. უდავოა, რომ ეგზეკუტივი ჩაგრულ ერებს რაღაც გაუგებარ არაბრძოლის პოლიტიკას ურჩევს აღვირავებელი ბოლშევიზმის პირისპირ და ამ მხრივ მის დადგენილებას არ შეუძლია უკმაყოფილება არ გამოიწვიოს დაინტერესებულ მხარეებში.

მაგრამ აქედან განა ვისმე აქვს უფლება დაასკვნას, რომ ინტერნაციონალი გადაუდგა დამონებულ

ერებს, აღარ იცავს მათ ინტერესებს, აღარ მიიჩნია საქირთო მათი განთავისუფლება? არა და არა. სოც. ინტერნაციონალს ოდნავად არ შეუცვლია თავისი შეხედულება, ახლაც როგორც წინად ყოველი თავისი გამოსვლით—სიტყვით თუ საქმით—ერთა თავისუფლების მქადაგებელი და დამცველია. ხოლო იგი არაა უცოდველი დაწესებულება, მეტად დატვირთულია შინა ევროპის საქმეებით, საკმაოდ გარკვეული არაა ბოლშევიზმის საკითხში და ამიტომ ყოველი მისი პრაქტიკული ნაბიჯი არაა სწორი და შესაფერისი. ეს თუ ის კერძო შეცდომა ვერ გაამრუდებს საერთო ხაზს, ეგზეკუტივის მაისის დადგენილების ზოგიერთი უმართებულ მუხლი ვერ შეცვლის ინტერნაციონალის საერთო პოლიტიკას და მრავალი წლის ტრადიციებს. არც იმ გარემოებას, რომ ხსენებულ დადგენილებაში საქართველო განსაკუთრებულად არაა მოხსენებული, არ შეუძლია წაშალოს და გააბათილოს კონგრესებზე თუ ეგზეკუტივის სხდომებზე არა ერთხელ გამოტანილი განახენები ქართველი ერის სამართლიანი ინტერესების დასაცავად.

ამის გაგება უნდა ჰქონდეს რუსის სოც. დამოკრატების ოფიციალურ ორგანოს რედაქციას და ამაოდ არ უნდა ცთილობდეს გამოიყენოს ინტერნა-

ციონალი ჩვენი განთავისუფლების საწინამდებარე დამოლაშქრებაში.

ჩვენი ბრძოლა ეროვნულ განთავისუფლების-თვის უაღრესი მოთხოვნილებაა ქვეშაირი და სალი დემოკრატიისა და არა იმ «დემოკრატიის», რომლის ქურქში უნდათ გამოხვიონ რუსის სოციალ დემოკრატებს თავისი მგლური ზრახვები.

და ერთს რასმე კიდევ ვეტყვი ბ. დანს და მის კომპანის, რომ რამე გაუგებრობას ადგილი არ დაურჩეს:

ვსტქვათ, მოხდა გაუგონარი რამ, პირდაპირ სკანდალი, წარმოუდგენელი გარემოება—ერთს წუთსაც არის მინც დაუშვათ, რომ სოც. ინტერნაციონალი დადგა თავის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ერების წინამდებარე, კერძოდ ჩვენ ქართველებსაც ზურგი შემოგვაქცია და ავეიკრძალა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. რა მოხდებოდა ამ შემთხვევაში? მხოლოდ ერთად ერთი რამ: ქართველი სოციალისტები, ისე როგორც მთელი ქართველი ხალხი, იძულებულნი იქნებოდნენ, არ დაემორჩილონ ინტერნაციონალს და კვლავ განაგრძონ შეურყეველი ბრძოლა სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის, რომელიც არის საფუძველი ქართველი ხალხის არსებობის.

ხ. ფინცხალავა.

ნ ა ზ ი ძ რ ი    ხ მ ა მ ა ლ ლ ა

ქართლის ჭირსა ვერვინ მოხთვლის,  
თუ არ ბრძენი, ენა მქვევრი.

ქართველი ერის თავგადასავალის გზაზე არა ერთჯერ ყოფილა გარდახვეწა სამშობლოს საზღვრებიდან უცხოეთისაკენ, როდესაც ქვეყანას მტერი შემოესეოდა ხოლმე. მომხდარა ეს ლტოლვა, მაგრამ ლტოლვილთა რიცხვი მეტად განსაზღვრული, მეტად მცირე უნდა ყოფილიყო, და ერის მხოლოდ ერთი ფენიდან იქნებოდა.

გარეშე მტრის ლახვარი, ან მოქიშპე მეფის, ან ფეოდალის მახვილი პირველად ყოვლისა ხვედებოდა გაბატონებულ წოდებას, ხელისუფლების მატარებელ წრეს და მის ახლო მსახურთ. გარდახვეწაც მათ შეეძლოთ, ვინაიდან მიმოსვლათა უქონლობისა და ლტოლვის პირობების სიმძიმის გამო. მხოლოდ დიდებულნი შეძლებდნენ მტრის რისხვის თავიდან აცილებას. ხალხი მტრის ასაწიოკებლათ და საყლე-ტათ რჩებოდა და ჩვენი ძველი ისტორიკოსების მიერ ხშირად ნახმარი სიტყვა: ესა და ეს მხარე გაუკაცრიელდა, ესე იგი, აქა და აქ ადამიანის ცხოვრება მოისპოო,—სოული ქვეშაირიტებით უნდა გადმოგვეცემდეს ქართველი ხალხის მიერ არა ერთხელ განცდილ უბედურებას.

უკანასკნელი გარდახვეწა საქართველოდან მეცხრამეტე საუკუნის განთიადნე მოხდა, როდესაც რუსეთი საქართველოში მკვიდრდებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთის ცხელ მიწას მიეცა იმერეთის უკანასკნელი მეფე—სოლომონ მეორე—ტრაპიზონის ბორცვიდან მის საფლავზე დაყუდებული

ჯვარით გვამცნევს თავისი და მისი ქვეყნის უკუღმართ ბედის შესახებ—«წარსულთა დროთა მოსაგონარად».

ბევრი მიებარა რუსეთის ცივ მიწას და ბევრს ალბათ აღარც «დაეცა ცრემლი მწუხარის, მდებლობათა შორის ტილის მინდვრის»...

აწ თმე ავი არ ვამაგვ, კარგი როგორ უნდა ვაკვ.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე მომავალ ასწლედის დასაწყისს უკვე იყო გზა გატკეპნილი ციმბირისაკენ; ბევრი და ბევრი, კანონითა თუ უკანონობით იგზავნებოდა ცივს ქვეყანაში; და ოდეს პირველად შეირყა ძველი რუსეთი და ატორტმანდა ეს ვეებერთელა ქვეყანა, მაშინაც რეაქციის დამდევს ბევრი ქართველი გარდაიხვეწა.

ამ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, ეს იყო პირველი ემიგრაცია.

მაგრამ რა მცირე იყო ის ემიგრაცია თავისი რიცხვითა და ერთფეროვანი თავისი შემადგენლობით. შეიძლება თითებზე ჩამოსთვალათ მაშინდელი ემიგრანტები; და ისინი ემიგრანტებთან გახდნენ იმიტომ, რომ ებრძოდნენ ერთ პოლიტიკურ რეჟიმს—თვითმპყრობელობას—, რომელთანაც მათ დიდი ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი.

მათ მაგივრად ეს ანგარიში ძველ რუსეთს გერმანიამ გაუსწორა. ვილჰელმ მეორეს სრულებითაც არ სურდა ნიკოლოზ მეორეს დაღუპვა. მაგრამ გერმანიის ზარბაზნებმა საძირკველი ამოუყარა რუსეთის იმპერიას და ჰერცენის დახსიათება რომ ვიხმართ, ეს «უწარმაზარი კოლოსი თიხის ფეხებზე», გაენართხა თავის მოშლილ ფრონტებზე.



დაინგრა ეს ავი და საძაგელი წყობილება და მას თან გადაყვა რუსეთი. ერთი ჩემი ნაცნობი მანდილოსანი მიმტკიცებს, რომ სოციალისტებმა დაანგრიეს რუსეთი, მე კი მას ვარწმუნებ, რომ თვით ნიკოლოზ მეორემ გამოიწვია თავისი ავი იმპერიის დამხობა. და მან ძალიან, ძალიან კარგი ჰქნა, თორემ სოციალისტებს სად შეეძლოთ ასეთი შესანიშნავი კარგი საქმის გაკეთება!

რუსეთი დაინგრა მაშინ, როდესაც პუტლიცის ქარხანაში გაკეთებულმა ხარბახანმა დაიგრილა გერმანელი კრუპის ქარხნებში ჩამოსხმულ ქვემეხის წინააღმდეგ. — დაინგრა ომის დაწყებისას.

ამას მოჰყვა მრავალი კარგი და ცუდი ამბავი, რომელშიც ჩვენ ყველა მონაწილეობას ვღებულობდით.

ამის შედეგი იყო ჩვენი ვარდისთვის 26.

ბევრი ამბავი მოხდა პირველი 26 მაისის შემდეგ და ამ ამბავთა შედეგად გავიგეთ: — «სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლება სხვაზე!» გავიგეთ ეს იქ და ვირწმუნეთ ეს აქ. მერე როგორი ტკივილებით და ტანჯვებით!

ვაი ეს დრონი, საყვედრონი, მღმრეცხ წყენასა!

ჩემი ნაცნობი ქალბატონი იმ დროს, როცა იგი ძველად იქ იყო, არასოდეს არ ჩაფიქრებულა თავისი ქვეყნის ბედზე. დღეს—ფიქრობს და მერე როგორ მწვავედ, როგორი სიმწარით. და განა «მარტო ჩემი ნაცნობი?»—ყველა არის ასე, ყველა განიცდის სამშობლოს დაკარგვის უბედურებას. მაგრამ ეს უბედურება. ეს მწვავე ფიქრი, თუ გნებავთ, მეტად სასიხარულოა, — ვინაიდან ესაა ყველა ფიქრობს თავისი ქვეყნის ბედზე; რა ვუყოთ, რომ ქალბატონს მასწავლესლობის მაგივრათ ნემსი უჭირავს ხელში, ცნობილ მხედარს ავტომობილის საქვე, პოლიტიკოსს ბარი და ბორბალი, და სხვა კიდევ თავის საქმეს აცდენია—ეს ემიგრანტობის უბრალო შედეგია, მთავარი ის არის, რომ ყველას ფიქრი და აზრი საქართველოს დასტრიალებს. ასე რომ ყოფილიყო ძველად, დღეს აქ ვიქნებოდით?

რომელი გონიერი არ იტყვის: — უმჯობესი იყო ესაა ჩვენს თავისუფალ ქვეყანაში ვყოფილიყავით. რასაკვირველია: — უმჯობესი იყო! მაგრამ ვინაიდან ჩვენ არ ვფიქრობდით ჩვენს ქვეყანაზე უწინ, არც თქვენ ქალბატონო. არც მე, და არც სხვა, — როდესაც ის ჩვენი ქვეყანა მოვიდა თავისუფალი. ჩვენ მას ვეღარ მოუბრუნებ. მიზეზი კიდევ სხვა მრავალია, და ესლანდელი დრო თუ საყვედურის ღირსია და ბევრ წყენასაც გვყენებს, ამაში ყველას მიგვიძღვის ბრალი, თორემ საემიგრაციოთ რად უნდა გაგვხდამოდა საქმე?

რანი ვართ და რატომ ვართ.

ჩვენს გარდა არის აგრეთვე რუსის ემიგრაცია. მაგრამ რუსის ემიგრაციასა და ქართველ ემიგრაციას შორის არის დიდი განსხვავება. მართლაც: საიდან გაჩნდა რუსის ემიგრაცია? ათიათასი და ასიათასნი გამოიქცნენ რუსეთიდან და განიფანტნენ მთელ მსოფლიოში. რუსები გამოიქცნენ, რადგან არ შეუბრუნდნენ იქ დამყარებულ პოლიტიკურ რეჟიმს. გამოიქცნენ, რამეთუ მათთვის მიუღებელი შეიქნა

რუსული ბოლშევიზმი. მოკლედ რომ ვსთქვათ, რუსის ემიგრაცია არის პოლიტიკური.

ქართველების საქმე სულ სხვაა!

საქართველო დაიკავა რუსეთმა იარაღით ხელში, — რუსეთმავე გადმონერგა აქ თავისი რეჟიმი, — აქედან ქართველი ემიგრაცია. მაშასადამე, ქართველი ემიგრაცია არის პირიველად ყოვლისა ეროვნული.

საქართველოში ბოლშევიზმის დამყარება იყო შედეგი ამ ქვეყნის დაპყრობის. ამას თან მოჰყვა ქართველი ემიგრაციის პირველი ტალღა.

რუსეთის წინააღმდეგ მომხდარ ეროვნულ აჯანყებას თან მოჰყვა ქართველი ემიგრაციის მეორე დიდი ტალღა, — და მას შემდეგ წელწელ, სათითაოდ მოიპარებოდა უცხოეთისაკენ საქართველოდან.

საქართველოში რომ ქართველი ხალხის ნებით, შინაური გადატრიალებით ბოლშევიკური რეჟიმი წარმოშობილიყო, მაშინაც იქნებოდა ალბათ ემიგრაცია, მაგრამ ეს ემიგრაცია იქნებოდა ერთი ფენის და მცირე.

საქართველოში ხომ იყო სოციალისტური მთავრობა, მაგრამ არ ყოფილა არავითარი ემიგრაცია, და ეს გასაგებია: — ეს მთავრობა ნაშობი იყო თვით ხალხის საშოდან, გარნა ბევრი იყო უკმაყოფილო, მაგრამ ამიტომ არავინაც გაქცეულა. და ეს არ მომხდარა იმ მიზეზის გამო, რომ არსებობდა თავისუფლება, თავისუფალი ასპარეზი პოლიტიკური ბრძოლისათვის და უკმაყოფილონი მოელოდნენ, რომ შემდეგში ისინი გაიმარჯვებდნენ. მაგრამ საქართველო დაიკავა რუსეთმა და მანვე დაამყარა აქ კომუნისტური დიქტატურა. ჩვენი ემიგრაცია არის ამის შედეგი. ცხადია, როგორც ეროვნულ ემიგრაციას, ჩვენ გვაქვს სრულიად განსახლებული მიზანი — და ეს არის — პირველად ყოვლისა საქართველოს განთავისუფლება უცხოეთის ბატონობისაგან.

ტყუილი ვსთქვა, ჩემი თქმული

შეიქნების რა საგარეო?

ჩვენ ემიგრაციას ბევრი საკირბორტო საკითხი აქვს გადასაწყვეტი და გასაკეთებელი, მაგრამ არის რაღაც გამოუცნობი, რაღაც უცნაური, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვევს მას და ხელის განძრევას რომ არ შეაფხობთ. თავის განძრევის საშვალეებასაც არ აძლევს.

უკვე მეათე წელიწადია, რაც ემიგრაცია არსებობს და უკან რომ მივიხედავ, გულზე ხელდადებით უნდა ვსთქვა, არამც თუ არაფერი თვალსაჩინო, უჩინოც კი არ გაკეთებულა რა. იქნებ სათანადოთ ვერ ვაფასებდე, მაგრამ მაინც მენატრება ისეთ ხელშესახებ რამეზე მიმითითოთ, რაც ჩვენ მიერ გაკეთებულ იყოს. და რაც უნდა გაკეთებულ იყოს, რაც უნდა გაკეთდეს, იქნებ ზოგიერთი რაზე აღვნიშნო.

ქართველები გაფანტული არიან უმთავრესად ევროპაში და უმრავლესობას თავი მოუყარია საფრანგეთში, აი, ვფიქრობ ამ ემიგრაციაზე და ვანგარიშობ: რამდენია საერთოდ გადმონეწილი და როგორი შემადგენლობისაა იგი. ამბობენ ორი ათასამდე აღწევს, მაგრამ დანამდვილებით ხომ არავინ იცის! უფრო მეტად საინტერესო უნდა იყოს ის საკითხი,

თუ რი შემადგენლობისა ჩვენი ემიგრაცია, განა ზედმეტია ვიცოდეთ ჩვენი ემიგრაციის ავკარგი? ამისათვის საჭირო არის: რომელიმე ორგანომ იკისროს მოახდინოს აღწერა. ეს არც ძნელია და არც დიდ ხარჯებს მოითხოვს, საჭიროა ინიციატივა და ენერჯია შესაფერი ორგანოს მიერ. შეკრებილი მასალა კი ძვირფასია ყოველი მხრივ. და ასეთი მცირე და კარგი საქმე ვერ გაგვიკეთებია!

თუ გაცხა გვდნა არ აქვს, გასტანჯავს წუთისოდელი.

უნდა დაუჯეროთ ნაპალონს, რომელიც იტყოდა:—თვითული საათი დაკარგული ახალგაზდობაში არის უბედურება მომავლისათვისო.

განუსაზღვრელად სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება ემიგრანტული ახალგაზდობა.

ახალგაზდობა— პოლიტიკურად და მორალურადაც (თავი რომ დავანებოთ კულტურულ ძალთა შექმნას, რაც ასე მწვეველ საჭიროა ჩვენთვის!) ღირსია იმის, რომ ემიგრაციის ყურადღების ცენტრში ტრიალებდეს. ამ ახალგაზდობამ ბრძოლის ეგზამენი დაიჭირა და დღეს რამდენიმე ასი ყოფილი სტუდენტი იმყოფება ემიგრაციაში. მართალია, ძველთაგან ძველად თქმულია და საბასულხანმაც დაგვიდასტურა: «ხელი მოუსვი და ნაშველი იქნებიო». ამას ძვირფას «დედაენა»-შიაც ვსწავლობდით.—მაგრამ რაც არ უნდა აქნია და უსვა ხელი, ნაპირი არა სჩანს. ამიტომ იძირება ჩვენი ახალგაზდობა, იღუპება სხეულმხრივ, სულიერად, ხეობრივად!

დღემდ ქარხანაში ვაბმული, მწარე ოფლით განაწურა, დათენილი და დაშლილი,—ეს არის ჩვენი იმედი? მომავლის თვალი? რას უბრუნებს უფროსთა ემიგრაცია საქართველოს? ამ გამოფიტულ ხალხს? მერე რა უფლებით?

ან იქნებ ჩვენს უფროსებს გგონიათ, რომ თქვენ ფიზიკურად უკვდავი ბრძანდებით და არავინ უნდა შეგცვალოთ? არა ვფიქრობ; ეს ასე იყოს. მაგრამ რომ ვერ ვხედავ თქვენს გამრჯელობას, თქვენს ცდას, თქვენ მეცადინეობას მიეშველოთ ახალგაზდობას, დაეხმაროთ მას, მოუწყოთ მას საქმე ისე, რომ შესძლოს სწავლა და ასე უხეიროდ არ დაიღუპოს.

მწარედ ვსთქვი იმიტომ, რომ სასტიკად აწუხებს ეს მდგომარეობა ახალგაზდობას. თქვენც ვაწუხებთ ალბად, მაგრამ გვაჩვენეთ, რომ თქვენ გსურთ დაეხმაროთ მას. იცადა ახალგაზდობამ ამდენი ხანი, მოიცდის კიდევ, რა გასაქანი აქვს: «ვეფხისტყაოსანში» აღწერილ ორმოში ჩავარდნილ კაცსა ჰგავს!

ჩივლივი, ვივლივი და ვუდაბზივა.

ვიორგი წერეთელმა ეს სამი უკვდავი ტიპი შექმნა; მართალია, ეს ტიპები თავიდან პროვინციული ოფერისა იყვენ, მაგრამ დღეს თამამად შეიძლება მათი აყვანა სრულიად საქართველოს ასპარეზზე. თავი რომ დავანებოთ მათ დახასიათებას, მარტო თვით მათი გამოკვეთილი სახელები იძლევა განსაკუთრებული მოვლენის სახეს.

და მეტისმეტად:—რამდენი ჩივლივი, რამდენი კივლივი, რამდენი კუდაბზივა სცოცხლობს დღეს! მგონი უმრავლესობა, განსაკუთრებით პოლიტიკურ

სარბიელზე. ეს კუდაბზივა, ყოყლოჩინობა და მამლაყინობა მგონი ქართველის ფსიქოლოგიაში არის ჩანერგილი. და თუ ამაში ვცდები, მაშინ უეჭველია, ეს კუდაბზივობა ქართველის უკულტურობის ნიშანია.

ჩვენ ქართველობას დიდი ყალბი წარმოდგენა გვაქვს თავის თავზე. გზაჯვარედინზე ყოველგან გავიძახით:—ჩვენ ასეთი ვართ, ჩვენ ისეთი ვართ. ასეთი კულტურული ვართ ასეთი დემოკრატიული და სხვა დიდი რამეებით შემკული.

ეს ტრაბახი ჩვენი კულტურისთვის შესახებ, რომელიც მესმის ყველგან; ეს კუდაბზივაობა, რომელსაც ვხედავ ყველგან; ეს ამპარტავენება და დიდი პოზით სხვების ჭკუის სწავლება და დარიგება, სხვების, რომელნიც ყველაფრით გვჯობნიან ჩვენ, ის დაუსრულებელი სიტყვათა ხატიხაუთქი და ლაყბობის კორიანტელი; ყველაფერი ეს მაჯავრებს და მამწუხარებს. მაჯავრებს იმიტომ, რომ ეს ტრაბახი, ეს ამპარტავენება, ეს ვაბერილი პატრიოტიზმი, ეს კუდაბზივობა არის მხოლოდ ფუქსავატობის, ქარაფიშტობის და ზერელოობის ნაყოფი. მამწუხარებს იმიტომ, რომ ყველაფერი ეს ხალხს აძინებს, უკარგავს მას საღი გონების თვალს, უსპობს მას თავის თავისადმი კრიტიკის სურვილს და მოვლენათა დაფასების დროს ახელმძღვანელებს უკვე შექმნილ, მილიონჯერ გადაღეკილ, მარტივ და შაბლონურ საზომით. ოჲ! ეს შაბლონები, გაყინული აზროვნება, ძველ სამხარეულოში დამზადებული სიტყვები, ფრაზები და ფრაზები, გაცვეთილი და გაღვსილი, რომელთაც უკვე დააბერეს ყურები!

მერმე რა? მართლა კი რას წარმოვადგენთ?

ამდენი ხანია ემიგრაცია არსებობს, ბლომათაა რიცხვითაც და დღემდე მას არ გააჩნია გაზეთი. იქნებ ეს კულტურის ნიშანია?

პარიზში ამდენ ქართველს მოუყრია თავი, და დღემდე მას არ გააჩნია ქართული ბიბლიოთეკა. იქნებ ესეც კულტურის ნიშანია?

ემიგრაციის ვერ მოუწყვია ქართული ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიისა და სხვაგვარი სისტემატიური ლექსიკონთა კურსი. ვაი თუ ესეც კულტურის ნიშანია?

მას ვერ გაუმართავს ვერც ერთი წარმოდგენა, ვერ შეუქმნია მომღერალთა გუნდი. აბა, ეს ხომ ნამდვილი კულტურის ნიშანია. ამის ძალები რომ არ იყვენ, კიდევ ვთ, მაგრამ არიან!

ათეული ბავში იზრდება ემიგრაციაში. ეს ბავშვები სწავლობენ ფრანგულ სკოლაში, ქართულს ვინ ასწავლის მათ? დღემდე ბავშვთათვის საკვირაო სკოლა ვერ შეგვიქმნია; ეს ხომ უსათუოდ ჩვენი კულტურის ნიშანი უნდა იყოს!

ამ ცხრა წლის განმავლობაში სამი თუ ოთხი წიგნი გამოიცა. და აქედან ნახევარიც არ გაიყიდა,—ეს კი აუცილებლად კულტურის ნიშანია, არა? და რამდენი ასეთი ნიშანი ჩამოვთვალოთ?

და ჩვენ კი ერთმანეთს ყურებს ვუქუქედთ კრებაზე თუ ჯგუფ-ჯგუფად, ოჯახში თუ კერძოდ, თუ რა დიდი კულტურული ხალხი ვართ! ერთმანეთს ვატყუებთ? ან რა სანუგეშოა ეს კუდაბზივობა?

ბ. ვარდანი.





ანა დრაიხორსტისა

პირველ ნომბერს ლონდონში გარდაიცვალა საქართველოს და ქართველების უდიდესი მეგობარი, ანა დრაიხორსტისა. ერთგვებით ის ირლანდიელი იყო, მეუღლე მისი კი ა. დრაიხორსტი, რომელიც მრავალ წლების განმავლობაში ბრიტანეთის მუზეუმის გენერალური მდივანი იყო, ინგლისელია. ა. დრაიხორსტისა დიდად განათლებული პიროვნება იყო და მას მკვიდრი კავშირი ქონდა ლონდონის მუსიკალურ, ლიტერატურ., თეატრალურ და პოლიტიკურ წრეებთან. მან ლონდონში ინგლისის ცნობილ კომპოზიტორის, პენრი პერსელის სახელობის მუსიკალური საზოგადოებაც კი დაარსა 1900 წელს და რამდენიმე წლის განმავლობაში იქ მეტად ენერგიულ მუშაობას ეწეოდა. ახლა და მეგობრული კავშირი ქონდა მას აგრეთვე ინგლისში ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორც ბერნარდ შოუა, ვილიამ მორისი და ელენ-ტერი იყვნენ.



ანა დრაიხორსტისა.

მაგრამ ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ანა დრაიხორსტისას უფრო პოლიტიკური მოქმედების სფერო აინტერესებდა და მანაც მთელი თავისი აქტიობა და დაუშრეტელი ენერგია აქეთკენ მიმართა. ის წვერი იყო ირლანდიის განმათავისფლებელი ლიგის, შემდეგ შინდენების პარტიას შეუერთდა და მისი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს უდიდესი გაცაცებით ემსახურებოდა.

ანა დრაიხორსტისას კარგი დამოკიდებულება ქონდა ლონდონის ანარქისტების წრეებთან, რომელთაც პეტრე კრაპოტკინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი ხელმძღვანელობდნენ. თუმცა თვითონ ანარქისტულ მსოფლმხედველობას არ იზიარებდა. მან ფრანგულ ენიდგან ინგლისურათ გადათარგმნა კრაპოტკინის წიგნი «საფრანგეთის რევოლუცია» და სხ. ამ 30 წლის წინეთ საქართველო ანა დრაიხორსტისას ვარლამ ჩერქეზიშვილმა გააცნო და მთელ ამ ხნის განმავლობაში ის საქართველოს საუკეთესო მეგობარი იყო.

1906 წელს საქართველოში რეაქცია მძვინვარებდა, რუსის გენერლები, ალიხანოვი და კრილოვი გურიას და ქუთაისს შეესივნენ და განადგურებ-

ბას ემუქრებოდნენ: სწვავდნენ სახლებს, აუპატიურებდნენ ქალებს, იჭერდნენ მცხოვრებლებს და მრავალ მათგანს ასახლებდნენ. საქართველოში მომხმარებლის შესახებ ცნობები ანა დრაიხორსტისას ლონდონში მოაწოდეს ვარლამ ჩერქეზიშვილმა და მისმა მეუღლემ, ქან ფრიდამ. რომლებიც იმ დროს თფილისში იმყოფებოდნენ. ანა დრაიხორსტისამ მაშინვე შეადგინა ლონდონში ქართველების დამხმარე კომიტეტი და გასწია დიდი აგიტაცია რუს გენერლების სიმხეცის წინააღმდეგ საქართველოში. მალე კომიტეტის დავალებით ის თვით წამოვიდა საქართველოში პირადად ცნობების შესაკრებათ და ადგილობრივად მდგომარეობის გასაცნობათ. მან საქართველოში რამდენიმე კვირა დაჰყო და მოიარა გურია, ქუთაისი, თბილისი და სხვა ადგილები. უკან დაბრუნებისას ანა დრაიხორსტისამ თან წამოიღო მრავალ ათას ქართველებისაგან ბელმოწერილი პეტიცია რუს ადმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ საქართველოში. ლონდონში ჩამოსვლისას ეს პეტიცია გადასცა ინგლისის მთავრობის მაშინდელ თავმჯდომარეს, კამბელ ბანერმანს და გასწია დიდი პროპაგანდა ქართველების სასარგებლოთ. შემდეგ ეს პეტიცია ჰააგის კონფერენციასაც გადაეცა.

1906 წლიდან მოყოლებული მის გარდაცვალებამდე ანა დრაიხორსტისა მუდმივად ითვლებოდა ქართველების დამხმარე კომიტეტის საპატიო მდივანად და მთელ ამ ხნის განმავლობაში მას ჩვენთვის ერთი წამითაც კი არ მოუკლია თავისი მზრუნველობა.

ის ხშირად სწერდა გაზეთებში და ჟურნალისტთა წრეებში დიდი ნაცნობობა და კავშირი ქონდა. თვით მისი სიძე და ქალიშვილი ცნობილი მწერლები და ჟურნალისტებია. გაზეთებთან და ჟურნალისტებთან კავშირს ის ხშირად იყენებდა და საჭიროების მიხედვით მათ საქართველოს შესახებ ცნობებს აწვდიდა.

როცა ანა დრაიხორსტისა სადმე კი წავიდოდა სტუმრათ, მას ყოველთვის თან მიქონდა საქართველოს შესახებ რაიმე ბროშიურა, ან გაზეთში მოთავსებული ცნობა. ის მუდამ იმის ცნობა იყო, რომ საქართველო, რაც შეიძლება მეტი პირისათვის გაეცნო, და მისთვის მეგობრები მოეპოვებია.

დიდ პროპაგანდას ეწეოდა ანა დრაიხორსტისა საქართველოს სასარგებლოთ ირლანდიელების ოფიციალურ და არა ოფიციალურ წრეებშიდაც.

ამ ათი წლის განმავლობაში ინგლისურ ენაზე არ გამოგვიცია ჩვენ არაფერი ისეთი, რაც მას თვითონ არ გადაეთარგმნოს, ან არ გადაეხედოს და არ გაეცნოს.

უკანასკნელ 5-6 წლის განმავლობაში ის კრეფდა ფულს და აგზავნიდა პარაზში ქართველ ბავშვების დასახმარებლათ.

განსაკუთრებული მადლობით მოიგონებენ ქართველი ქალიშვილები, რომლებიც ლონდონში ჩა-

მოდოდენ ინგლისური ენის შესასწავლათ, არა თუ ანა დრაიხორსტისას, სარამედ აგრეთვე მისი მეუღლის ა. დრაიხორსტის იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც ისინი ერთნაირი სიხალისით იჩენდენ მათთვის.

გარდაცვალების ერთი თვის წინ, ხანში შესული და მძიმე ავითმყოფი, ანა დრაიხორსტისა ერთ თავის მეგობარს სწერდა პარიზში: «ყველაზე უფრო სამძიმო ჩემთვის ის არის ესლა, რომ ლოგინათ ვარ ჩავარდნილი, ჯერ კიდევ ვერ მომიკრებია იმდენი ძალღანე და რომ თქვენ სასარგებლოთ რამე გავაკეთო და ბარბაროს ბოლშეიკებს პირბადე ჩამოგხადო». გარდაცვალების ათი დღის წინ კი იწერებოდა: «რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემ სიკვდილამდე გავიბეჭდე საქართველოს განთავისუფლებას და ქართველ ემიგრანტ მეგობრების თავისუფალ სამშობლოში დაბრუნებას»-ო. ანა დრაიხორსტისამ თან წაიღო ჩვენდამი გულწრფელი სიყვარული. სამაგიეროთ ქართველები მას მუდამ უდიდესი და უღრმესი მადლობით და პატივისცემით მოიგონებენ.

დასაფლავებისას მღვდელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც დამწრე საზოგადოებას დაუსურათა გარდაცვალებულის პიროვნება და გააცნო მისი მოღვაწეობა საქართველოს სასარგებლოთ. მრავალ გვირგვინთა შორის იყო გვირგვინები საქართველოს ეროვნულ მთავრობისაგან და ლონდონის ქართველობისაგან.

საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. სხირტლაცემ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა განსვენებულის ქმარს:

ქართველთა ასოციაცია იზიარებს თქვენს მწუხარებას და გთხოვთ მიიღოთ მისი ღრმა სამძიმარი. ქალბატონ დრაიხორსტის სახით საქართველომ დაჰკარგა დიდი და ერთგული მეგობარი.

ამ დეპეშის საპასუხოთ ბ. სხირტლაცემ მიიღო შემდეგი წერილი:

ძვირფასო ბატონო,

ჩემი სამწუხარო მოვალეობაა დაგიდასტუროთ თქვენი 2 ნოემბრის დეპეშის მიღება და მოგახსენოთ, თუ რა წრფელი მღვდლავრება გამოიწვია ჩემში პარიზის ქართველთა ასოციაციის დადგენილებამ აწ განსვენებულ ჩემთვის დაუვიწყარ ქალბატონ დრაიხორსტის გარდაცვალების გამო.

თითქმის 25 წელია მას შემდეგ, რაც ის იყო თქვენს მშვენიერ ქვეყანაში. და იმ დროიდან მისთვის მუდამ დაუვიწყარი იყო ცხოველი და სასიამოვნო მოგონება იმ პიროვნებათა, რომელნიც გაიცნო თბილისში ყოფნის დროს, და აგრეთვე მოგზაურობამ თბილისის მიდამოებში.

ის დახმარება, რომლის აღმოჩენა სცადა მან იმ დროს მეფის ჯარების ჩვეულ ძალმომრეობით დახარალებულ სოფლებისთვის, წარმოადგენს საკმარისს მოწმობას იმ კეთილშობილ გრძობებისა, რომელიც მის გულს ამკობდა.

შემდგომ ის გულმოდგინეთ იღეწოდა როგორც პროტაგონისტი საქართველოს უფლებებისა ინგლისში და ეს მისი მოღვაწეობა საკმარისათ ვენერგიული და გამძლე იყო, რათა ცხად ყყო, თუ რამდენათ უყვარდა მას თქვენი ხალხი და რა ღრმად განიცდიდა ის რუსის უღლიდან თქვენი განთავისუფლების ასე დიდი ხნით გადადებას მწარე ბედის წყალობით.

ვაი რომ, ბატონო ჩემო, ამ ქამად შემძილია მხოლოდ ერთი რამ გითხრათ: იყავით მხნეთ!

იმედია ახლო მომავალში აღორძინდება მცირე აზიაში ახალი შვეიცარია—მე მინდა ვთქვა კავკასიის ხალხთა კონფედერაცია თქვენი ძველი, მაგრამ განახლებული სახელმწიფოს ხელმძღვანელობით.

მერწმუნეთ, ბატონო, რომ მე ჰუმბარტიად მადლობელი ვარ იმ სიმპატიისა და სამძიმრისათვის, რომელიც თქვენ გადმომეცით ქართველთა ასოციაციის სახელით, და რომ დავშთები მარად თქვენი ერთგული მოსამსახურე—

ა. რ. დრაიხორსტ.

### ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ა ბ ი თ

(გდა ჩვენი ქვეყნის გროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

(გაგრძელება)

21.

ტყის მეურნეობას ზოგი სასოფლო მეურნეობის დარგს აკუთვნებს, ზოგი კი მრეწველობას. მას რალაც საშუალო ალაგი უკავია და მანამ სამთომადნო და სხვა მრეწველობაზედ გადავიდოდეთ, აქ მოვიყვანთ იმ ცნობებს, რომელნიც ახასიათებენ ტყეების მნიშვნელობას ჩვენში.

ამიერკავკასიის ტყეების მცოდნე ბ.ნი ზაკტრეგერის მოწმობს, რომ საქართველო იმდენადევა სასოფლო-მეურნეობის ქვეყანა, რამდენადაც ტყისაო.

მართლაც-და, სულ ცოტა 67 პროც. ამ-კავკასიის ტყეებისა საქართველოშია მოქცეული. 1917 წლის სტატისტიკით საქართველოს ტყეების საერთო სი-

ვრცე 2.944.000 დეს. უდრის (აფხაზი). ის ნაწილი კი, რომელიც უკვე დღესაა მზად საეკსპლოატაციოთ, შეიცავს 2.138.000 დესეტ.

«საქართვე. კრებულში» ტყეების სივრცე მოცემულია 2.218.453 დესეტ. მეორე კრებული (ნარ. ხაზ. ზაკ.) ამ სივრცეს 2.264.500 დეს. უთმობს (2.468.300 ჰექტარი).

ბ. ზაკტრეგერის ანგარიშით ანერბეიჯანში 14 პროც-ია მთელი ამ-კავკასიის ტყეებისა; სომხეთში კი 5 პროც.; გამოდის რომ დანაშთენი 81 პროც. საქართველოში (აფხაზეთითურთ) ყოფილა.

ჩვენი ტყეების სიმდიდრეს მისი ჯიშების ნაირ-ნაირობა შეადგენს; საქართველოს ტყე შეიცავს 366



სხვა და სხვა ჯიშის ხეებს; მათ შორის არი უძვირფასესი თვისი იშვიათობით; ზოგი ჯიშში მხოლოდ ჩვენში მოიპოვება.

ორი დიდი უბედურება მოსდევს ჩვენს ტყეებს: მათი ექსპლოატაცია და განახლება არ ხდება სათანადო შემუშავებულის პლანით და ტყის გაჩენა, შიგა და შიგ, ისე ხდება, რომ ზოგიერთ ადგილებში უქადის მას გადაგვარებას და სრულიად მოსპობასაც.

კარგი მცოდნე ჩვენებურ ტყეების პროფ. ვინოგრ.-ნიკიტინი, ერთ ეკონომ. ყრილობაზე (1923 წელს) ციფრებით შეიარაღებული უმტკიცებდა კრებას, რომ მის წევრებმა არ იციან, სად არის ნამდვილი ქვეყნის სიმდიდრე და სად უნდა ეძიონ მათ ოქრო: დაიწყეთ ტყეების რაციონალი ექსპლოატაცია და მოვლა და უმაღლესი მოპოვებთ იმ ოქროს-ფულს, რომელსაც ყველა გადააცივებით ეძებს და ვერ მოუწახავსო.

სხვებზე სპეციალისტის გამოანგარიშებით ამიერკავკასიაში სულ 3.400.000 დეს. ტყეა. თეორეტიულად ერთი დესეტინა ტყე ყოველწლივ იძლევა, თითქმის, 0.5 კუბ. საყენ «ზრდას», ე. ი. ტყეს ყოველწლივ ემატება—ბუნებრივად და თავისთავად—სულ ცოტა; 1.700.000 კუბ. საყენი. მთელი ეს ნაზარდი უდრის, დაახლოვებით, 400.000 ათას კუბიკ. ფუტს. თუ ჩავთვლით, რომ კუბიკ. ფუტი მხოლოდ 10 კაპ. ფასობს, მთელი «ნაზარდის» ღირებულება გამოდის 40 მილიონი მანეთი.

მივიღოთ, რომ საქართველოს ტყეები შეადგენენ მხოლოდ 67 პროც. მთელი ამიერკავკასიის ტყეების. ამ შემთხვევაში, თუ ბ.ნი ვინ.-ნიკიტინის ანგარიში სწორეა, საქართველოს ტყეების «ნაზარდი» შეფასდება 26.800.000 მანეთად.

გაცილებით უფრო თავდაპირილ ანგარიშს იძლევა პროფ. ქურდიანი, რომელიც საუცხოვოთ გაეცნო ჩვენი ტყეების აწინდელ მდგომარეობას.

აი ის დებულებანი, რომლითაც პროფ. ქურდიანი ახასიათებს ჩვენებურ სატყეო საქმეს:

«1) ყოველ წლივ ტყე 10.000 დეს. არეზდ იჭრება, აქედან 5000-7000 დესეტინამდე არე გაუტყევებელი რჩება. ეს ფრიად არასასურველი მოვლენა არის, რადგან 1.646.160 დესეტ. ტყის არედან ტყით დაუფარავი უკვე 420.600 დესეტინას უდრის.

2) გარდა ამ ტყით დაუფარავ არისა—საქართველოს ტერიტორიის 22 პროც. უფარვის მიწებს შეადგენს. ტყეების ცხრა მეათედს მთავარიანი ადგილი უჭირავს.

3) ნედლი ტყის მოჭრა ჩვენში, სადაც 90 პროც. დაცივითი ხასიათი აქვს. თითქმის ყველგან აკრძალული უნდა იყოს.

4) ჩვენი შეთხლებული ტყეების მარაგი უდრის დესეტინაზედ—20 ტაქსაც. საყენს. თუ ტყის განახლების ზომები იქნება მიღებული, შეიძლება მარაგის ნახევარი მოიჭრას, ანუ დესეტინაზედ 10 კუბ. საყ., ან 2.200 კუბ. ფუტი.

5) ჩვენ ტყეებიდან ყოველ წლივ გადის 120.000 კუბ. საყენი, ან 26,4 მილიონი კუბ. ფუტი მერქანი». თუ კუბიკურ ფუტის ფასი 10 კაპიეკია, მაშინ

26,4 მილიონ კუბიკ. ფუტი მერქანის ღირებულება 2.640.000 მან.

ამ მოყვანილ ცნობებიდან აშკარად ვხედავთ, რამდენად განსხვავდებიან სპეციალისტების ცნობები. მაგრამ როგორც ეს დავინახეთ, ასეთი მრავალი აზროვნება მარტო ტყეების აღრიცხვაში არ ხდება, იგი დამახასიათებელია ჩვენი მეურნეობის სხვა დარგებისათვისაც...

სხვათა შორის გამოანგარიშებულია, რა დიდძალი ნარჩენები იღუპება ამიერკავკასიის ტყეების ექსპლოატაციის დროს. მთელი ღირებულება ამნაირი დაღუპულ ნარჩენების 5 მილიონ მანეთამდე აღის. აქედან საქართველოს წილი 3.300 000 მანეთს მაინც უნდა უდრიდეს!

შესადარებლად მოვიყვან კიდევ ციფრებს, რომელიც აშკარად ხდიან. რა შეუსაბამ მდარე პირობებში ხდება ჩვენი ტყეების გამოყენება ექსპლოატაცია.

სატყეო სპეციალისტების ყრილობაზე გამოირკვა შემდეგი: ამიერკავკასიის ჰექტარი ტყე იძლევა 95 კაპიეკს. უკრაინაში 20 მანეთს, ბელორუსიაში 22-23 მანეთს, გერმანიაში კი 60 მანეთს.

ამ ქამად ამიერკავკასიის ტყეებიდან ყოველთვიურად ვღებულობთ 2 მილიონ კუბ. მეტრ ტე-ტყესო. განაცხადეს სპეციალისტებმა, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო 9 მილიონ კუბ. მეტრის მიღება.

ჩვენი ტყეების ექსპლოატაციას ისიც ახასიათებს, რომ არ ხდება ტყესთან დაკავშირებული სხვა ინდუსტრიის გაჩენა: ქალაღის ფაბრიკაცია, ფოლაქების დამზადება. საოჯახო ნივთების ვრცლად გამომუშავება. სათარაშოების და სხვ...

დიდი მომავალი მოელის ჩვენში ხის მასსიდან ქალაღის გაკეთებას. მოვიყვანთ ქვემოდ ცოტა რამ ცნობებს ამ ინდუსტრიის შესახებ.

ქალაღის ქარხნის აშენება საქართველოში დიდხანია დღიურს წესრიგშია დაყენებული. ამ ქამად ფიქრობენ ჯერ სოხუმის რაიონში აავონ ერთი ქარხანა. ეს დაწყება და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მალე სხვა რაიონებშიც იქმნება ქალაღის ქარხნების აშენება. ქალაღის ინდუსტრიის გასავრცელებლად ჩვენში ყველა უმთავრესი პირობები უკვე მოცემული: გვაქვს ტყის დიდი ფართობი და ჩვენი ხელთ არის მოძრავი ძალა, ე. ი. თეთრი ნახშირი.

სპეციალისტების კომისიამ დაასკვნა, რომ ქალაღის ფაბრიკისათვის საჭირო ხის მარაგი იმდენად დიდია ჩვენში, რომ ქალაღის პროდუქცია წელიწადში ერთ მილიონ ფუტამდე ავაო.

გერმანელმა ნატურალისტმა შეფერმა პირველად 1768 წელს სცადა ხის ნახერხის გამოყენება ქალაღის ფაბრიკაციისათვის. 1840 წ. უკვე ქიმიურად აწავებენ ხის მასალიდან ცომს. მას აქეთ ქიმიურად ხის ცომის დამზადება უკვე ფართოთ ხდება.

ამ ქამად იმ ქვეყნებში, სადაც ქალაღის ფაბრიკებია გაშენებული, ეწყობა დიდი ექსპორტი მარტო დამზადებულ ქალაღის კი არა, არამედ ქიმიურად და მექანიკურად შეწავებულ ხის ცომისაც.

მოვიყვანთ ექსპორტის ზრდის ცხრილს ევროპის პატარა, მაგრამ ტყით მდიდარ სახელმწიფოებში.

ქვეყანა	ტყეების არე ოთხ.კუთ.კილომეტ.	წლები	ექსპორტი ქალაღის ცომის (ტონებით)	ექსპ. ქალაღის (ტონი)	ექსპ. კარღონის (ტონებით)
შვეცია	213.902	( 1913 ( 1924	109.300 141.715	216.670 382.814	21.722 (1922 წ.)
ნორვეგია	74.862	( 1923 ( 1924	255.201 243.261	— —	105.244 205.000
ფინლანდია	202.150	( 1923 ( 1924	120.424 278.679	145.632 173.329	53.730 25.619

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიელებს საკუთარი ტყის მარაგი ძალიან ნაკლებათა აქვთ, ხის მასალას უცხოეთიდან იბარებენ და ვადამუშავებელი პროდუქცია ვააქვთ საზღვარგარეთ. ამ ქვეყნის ხის ინდუსტრია ხომ ვათქმულია. ამ ქამად ქალაღის კეთების ვარდა ხის ცომსაც ავზავნიან უცხოეთში და ამაში დიდი მოგება აქვთ.

ქალაღის ინდუსტრიას ჰოლანდიაში 300 წლის ისტორია აქვს. მანამ ხის მასის გამოყენებას გამოიგონებდენ, ქალაღი უმთავრესად ჩვრებისაგან და ძველ ნახმარ ქალაღებისაგანვე კეთდებოდა.

ამ ქამად მთელი განათლებული ქვეყნიერება ჰოლანდიის ქალაღს ეტანება.

1909 წელს ასეთი იყო ამ პროდუქციის ექსპორტი ჰოლანდიაში:

ქალაღი	ლირებულება
14.667.000 კილო	3.000 000 ფლორინი
კარტონი	ლირებულება
133.013.000 კილო	6.500.000 ფლორინი.

ყველა ქვეყნებში ამ ქამად იმის ცდაში არიან, რომ ვააჩინონ ტყე ისეთ ალაგებში, სადაც სხვა კულტურა ვერ იკიდებს ფეხს, ამისათვის მთავრობები პროემიებსაც აწესებენ.

თანამედროვე აგრიკულტურა მოწმობს, რომ არ არსებობს ისეთი უვარგისი ნიადაგი, რომელზედაც არ ხერხდებოდეს მისთვის შესაფერი ხეების ან ბუჩქნარის ვაშენება. საფრანგეთში შეუღღენ ფართო მაშტაბით მთა-გორიანი სრიოკების ვატყიანებას. ცარცის და კირის გორაკების კალთების. ყველა ამ მუშაობას მხოლოდ დაცვითი ხასიათი კი არა აქვს, არამედ ნაფიქრი და ცხადათ ვათვალისწინებული კომერციული ანგარიში...

და ბოლოს, ორი მაგალითი ბოლშევიკურ საქმიანობისა. ჩვენი სატყეო მეურნეობა იმდენათ ჩამორჩენილია, ვაიძახოდენ სპეციალისტები მათ ყრი-

ლობაზედ, რომ ახალციხიდან უცხოეთში ვასატანი ვაშლის ჩასაწყობი ყუთების მასალა მოგვავქვს ციმიბირის ტყეებიდან, იმის მაგიერ, რომ ბორჯღამის ტყეებში დავამხადოთ იგივე მასალა.

ვახ. «კომუნისტი» ასეთ ხელი-ხელთ საგომანებელ ამბავსა ვკითხულობთ:

«ხის მასალა მალარებისათვის. ვინაიდან რუსეთის ტყეები ვერ ვჯერობით ვერ აწვდიან ჰიათურას ხის მასალის საჭირო რაოდენობას, ამიტომ ტრესტმა დაუკვეთა ხსენებული მასალა ოზურგეთის სატყეოს, რომელმაც უნდა დამხადოს 50.000 ცალი ბიჯგი. ამდენივე ბიჯგის დამხადება იკისრა საჩხერის სატყეომაც».

როგორც ვხედავთ საქართველოშივე ყოფილა შესაძლო ბიჯგის დამხადება, მაგრამ სწორუბოვარმა საქმის კაცმა კარზე მოდებამ, ტრესტის ხელმძღვანელმა, ვერ სცადა. ის მასალა უთუოდ რუსეთიდან დაებარებინა. ეს ვანცხადება იმასაც ვგეუბნება, რომ რუსეთმა ვერ მოახერხა კარპეს «ზაკახის» ასრულება ვერ-ვჯერობით. დადგება დრო და რუსეთი ამასაც მოახერხებს და მაშინ ტფილელი ბოლშევიკები აღარ იქმნებიან იძულებულნი უთუოდ საქართველოს ტყეებს მიმართონ.

როგორც ხემოთ დავინახეთ ბ-მა ზაკტრევერმა საქართველოს ტყის ქვეყანა უწოდა და ეს შორს არ არის სიმართლევედ. მიუხედავად იმისა დღეს საქართველოში იმის ცდაში არიან, რომ ყველაფერი და ტყეც რუსეთიდან შემოიტანონ...

ეს ამბავი მწარე სინამდვილე რომ არ იყოს, კაცს შეთხზული ზღაპარი ეგონებოდა.

ეს სწორეთ იმასა ვაგეს, რომ ბორჯღამის შუაგულ ტყეში ცხოვრობდენ და შეშის საყიდლათ ტფილისში ვარბოდენ, თათრის მოვდანხედ ორი ურემი შეშის საყიდლათ და ბორჯღამში მისატანათ...

—ლი—გ.

ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

ვახეთ «ბრძოლის ხმას» საკუთარი კორესპონდენტი შემდეგს საინტერესო ცნობებს აწვდის საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე:

ნავთოულიდან ავლაბრამდენ ეტლმა თითო სულზე 3 მანეთი ვეთხოვა. ეს ძვირი ვეჩვენა და ტრამვისაკენ ვავეშურეთ. რონოდაში ასვლისათანავ კონდუქტორი ვგეკითხება: «ხურდა ფული თუ ვაქვთო». ჩვენ ვაძლევთ ქალაღის მანეთიანს. რონოდა ვააჩევრეს და ვვიბრძანეს ჩამოსვლა. ჩემს მეგობარს საბე-

დნიეროთ აღმოაჩნდა აბახიანი ვერცხლის ფული და ამ ვარემოვებამ ვვიხსნა. ჩავედით ავლაბარში. კვირა დღეა. ავლაბარში არც ერთი სარდაფი ღია არ დავხვდა; დუქნები და მალაჩიები დახურულია. მხოლოდ «მუშკობი» ვაპრობს, რომლის წინ ქალების, ბავშვების და მოხუცებულების გრძელი კუთლია. შევედით «მუშკობში»: ცარიელი თაროები, ვიტრინაზე მხოლოდ ფინჯნები, თეფშები, ქიქები და ხილი აწყვია. ვეგონა, რომ ვაპრობის ასეთი შეწყვეტა კვირის ბრა-



ლი იყო. ეს შეცდომა გამოდგა. გამოირკვა, რომ კვირა დღეს «ნეპერევიკი-ს» შემოღების გამო მეტი მუშაობაა.

კახეთის მოედნიდან თავისუფლების მოედანამდე ეტლმა გვთხოვა 10 მანეთი (ყველა ეტლი «მსუბუქი» ტრანსპორტის არტელს» ეკუთვნის). სულ მოედანზე 2-3 ეტლია. რომ არ დაეთანხმდეთ, აგერ სხვა მოდის და ის დაიკავენს. ამიტომ დაუყოვნებლივ ჩავსხედით. დიდი გაჭირვებით «რაშებმა» მიგვიყვანეს პუშკინის ბაღამდე.

აქ განუწყვეტელი კუდები მოსჩანს. აუარებელი ხალხია, მათში ბევრია პირადი ნაცნობი. მაგრამ რიგში დგომით ხალხი ისე დარეტიანებულია, რომ ვერაფერს მიცნო. რამდენიმე საათს იცდიან, რომ გირვანქა პამიდორი ან ბადრიჯანი იყიდონ. გავიარე პასაჟი. აქ რამდენიმე ათეული მეტრი კუდია ერთი ჭიქა რძის მისაღებათ. ხალხის ისეთი ხმაურობაა, რომ არ შეგვიძლია იქვე მდგომი პირის ლაპარაკი გაიგო. სდება წიგნაკების წარდგენა, ჩეკის გამოწერა, წიგნაკში აღნიშვნა, მისი რამდენიმე ინსტანციაში გატარება, ხელის მოწერა და ბეჭდის დასმა. ყველაფერი ეს სდება ერთი ჭიქა რძის მისაღებათ.

შევედით «საღდათის ბაზარში» კოლექტიურ სასადილოში. ის კომსომოლს ეკუთვნის, მოსამსახურეებიც კომსომოლის წევრი ქალვაყებია. ასე გვეგონა, საროსკიპოში ვიყავით: თორმეტი მოსამსახურე ქალი და ვაჟი სულ ტიტვლები იყვენ, გარდა სამარცხვინო ადგილისა. დახლში და სამხარეულოში რაც საქონელი იყო ძველი დროის შეფასებით 2-3 მანეთი ღირდა სულ. ვეკითხები ხელზე მოსამსახურე ქალს, «რა გაქვს ამხანაგო». მისი პასუხი იყო: «ყველაფერი. ამხანაგო: აჯაფ-სანდალი, კარტოფლის სუფი, ღვინო, სალათი.» ვეკითხები: «გაქვს თუ არა ხორცი?» მოსამსახურე-ქალმა ისეთი განცვიფრებით შემოგვხედა, რომ ამჟამად იყო, თუ რა დიდი შეცდომა ჩავიდინეთ. სხვა გზა არ იყო—ღიმილით მიუგე: «არა, ამხანაგო, გესმურებით. ხორცი რომ წამალათაც არ იშოვება, კარგათ ვიცი, ოღონდ თქვენთან, მშვენიერ არსებასთან მიწოდდა ლაპარაკი». მოვეტიანეს აჯაფ-სანდალი ბადრიჯნით და პამიდორით. ერთი კვარტი ღვინო და ნახშირითი შავი პური. ამ სადილში გადავიხადეთ ორმა 12 მანეთი.

ორი კვირის განმავლობაში თფილისი ყოველმხრივ დავათვალიერეთ და აი ჩვენი საბოლოო შთაბეჭდილება.

ვაკედან რომ თბილისს გადახედავთ, იფიქრებთ, რომ ქალაქი უპატრონოთაა მიტოვებული. სახლებს საღებავი მოცილებია, სახურავი უნაგით შეჭმულია. აქა-იქ არის ახალი ნაშენი, რომელთა შორის ორი სახლია ლამაზი და კაპიტალური: ვახუთ («ზარია ვოსტოკას» შენობა რუსთაველის პროსპ. და ოლღას ქ. დასაწყისში და მეორე—სასახლის ეზოში, გარეშე საქმეთა სამინისტროს ყოფილ შენობის წინ ამიერკავკასიის მთავრობისათვის. ნაძალადეგში აშენებულია 2-3 საცხოვრებელი სახლი, უწინა და უხერხული, რომლის გამძლეობა 20 წლით არის გათვალისწინებული. შეიძლება მან ივარგოს 3-4 წელი, შემდეგ კი მოსალოდნელია მისი ბუნებრივი დანგრევა. აგრ-

ეთვე ტრამვაილებს აუშენეს ვეებერთელა სახლები, მაგრამ ოთახები ბელურის-გალიას მოგაგონებს და ძალიან ბნელია. საერთოდ ახალ სახლებიდან მაგარი წვიმის ან ქარის-დროს აგური და ქვა კედლიდან ცვივა, ხშირად ბალკონი და სახურავიც ირღვევა.

ფაბრიკა-ქარხნები უხეიროთ მუშაობენ. მეჩქემეთა სახელოვნებები, სადაც ძველათ 8-10 კაცი მუშაობდა, დღეს ფაბრიკათ ითვლება. ასეა ყველა დარგში.

ეკონომიური კატასტროფა ივლისში დაიწყო. სამი თვის განმავლობაში ფასები საშინლად გაიზარდა. რაც დრო გადის, მდგომარეობა უარესდება. 24 აგვისტოს თფილისში ერთი კვრცნი, რომელსაც მხოლოდ კერძო მოვაჭრესთან ქურდულათ იშოვნდით, ღირდა 20 კაპ., ხოლო 6 სექტემბერს ცალი კვრცნი 45 კ. ფასობდა იმავე პირობებში.

ხორცი კოლპერატივში არ იშოვნება, ხოლო კერძოთ, ფარულათ კილო 2 მან. ნახევარი ღირდა, ორი კვირის შემდეგ კი 5-6 მანეთი კილო.

24 აგვისტოს ღვინოს (კვარტის ბოთლს) კოლპერატივის წიგნაკებით თვეში ერთხელ წვერებს 1 მან. 50 კაპ. აძლევენ, ხოლო 6 სექტემბერს კოლპერატივში ღვინოს უკვე აღარ იძლეოდნენ. ხოლო კერძოთ იშვითად 8-9 მანეთად შეიძენდით.

ფართალი არც კოლპერატივში და არც კერძოთ სრულიად არ იშოვნება.

შაქარი აგვისტოში მუშა-მოსამსახურეებს არ მიუღიათ, ხოლო კერძოთ კილოს 5-6 მანეთად ყიდდენ. სექტემბერის დასაწყისში ფულათ შაქარს ბაზარზედაც ვერ იშოვდით. გლეხი ერთ ქათამს სამ გირვანქა შაქარზე ცვლიდა.

ფესხაცმელი და ტანთსაცმელი არც კოლპერატივში და არც კერძო ვაჭრებთან კარგა ხანია არ იშოვნება. ფესხაცმელის ძირის გამოსაცვლელათ მოსამსახურენი იძულებულნი არიან ორდერი აიღონ, ამ მიზნით რიგში ორი კვირა უნდა იცადონ, ხოლო შემდეგ არტელის მეჩქემეები 30-40 მანეთს იღებენ. ქალის ნახმარი ფესხაცმელი, თუ ოდესმე ვინმე ბაზარზე ქურდულათ გაიტანს, იყიდება 200-250 მანეთათ. ხოლო მამაკაცის (ნახმარი) შარვალი 200-300 მანეთათ. კილო კარაქი 24 აგვისტოს კერძო ბაზარზე (კოლპერატივში არ იშოვნება) ღირს 15 მანეთი, ორი კვირის შემდეგ კი 30-35 მანეთი. კილო ლობიო 1 მანეთი და 50 კაპეიკი, ორი კვირის შემდეგ—4 მ. 50 კაპ. კონა მწვანილი 25 კაპ., პური (შავი, სავსე ათასი ნარევი) კილო 80 კაპ., ორი კვირის შემდეგ კი 1 მ. 60 კაპ.

ჩერვონეცის, შანეთი უდრის ძველ 2-3 კაპეიკს. საკვებ პროდუქტზე მანეთი უდრის 10-15 კაპეიკს სავალათ.

პაპირისი გასაყიდათ არ იშოვნება. მუშაობის-სახურეებს სამსახურში ურიგებენ ერთ კოლოფ პაპირისს სამი დღისთვის. ქურდულათ თუ გსურთ შეიძინოთ, უნდა გყავდეთ დახელოვნებული აგენტი და კოლოფს შეიძენთ 2-3 მანეთათ. საპონი სოფლათ სრულიად არ იშოვნება. საპონი აღარ მზადდება და მალე ქალაქშიც ის არ იქნება.

ერთ ღამეს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოლარეები ჩეკამ გაჩხრიკა და ვისაც აღმოაჩნდა ხურდა ფული—შავი და ვერცხლისა—12 მანეთ-

ზე მეტი, ყველანი დაატუსაღა. ხოლო ფულს კონფისკაცია მოუხდინა.

გლეხი ფულზე არაფერს ყიდის. ის დაშინებულია ჯერ ნიკოლოზის ფულის გაუქმებით, ხოლო შემდეგ ბონების ფასის დაცემით. ფიქრობენ, ჩერვონეცს უარესი მოვლის. ამიტომ თუ სოფლათ მიიტან ძველ ფებსაცმელს ან ტანსაცმელს. მოგცემენ კარაქს, კვერცხს და სხვა ნაწარმოებს, ფულს კი არ ლებულობენ.

შიშშილობა ახლა სოფელსაც მოედვა. პურის მომარაგების შემდეგ კომლ გლეხს, რომელიც 3-4 სულისაგან შედგება, დაუტოვებენ 8-10 ფუთ პურს-ერთი თუ ორი თვის შემდეგ გლეხი იძულებული იქნება თვით პურის შექმნაზე იფიქროს. სანამ ზაფხულია, ხალხი იოლათ გადადის, ხოლო ზამთარში რა მოხდება არავინ იცის: საშინელი შიმშილობა აუცილებელია.

თვით კომუნისტთა შორის დიდი უკმაყოფილებაა. დაღმწილი არიან გეპეუს წევრები, ნარკომები, ტრესტებისა და სინდიკატების გამგეები და პარტიკომების წევრები. კომუნისტურ პარტიის უბრალო წევრები კი ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც უპარტიო მუშა-მოსამსახურეები. ამის გამომალ თანამდებობის კომუნისტთა და პარტიის უბრალო წევრთა შორის სასტიკი ანტაგონიზმია. დაბალი კომუნისტები ძველ მენშევიკ მუშებთან მიდიან, გულწრფელათ შესჩივიან თავის აუტანელ მდგომარეობას და ეკითხებიან: «გვეშველება რამე თუ არა, გადავარდება თუ არა ეს ტერორის მთავრობა».

წელს ზაფხულზე ყველგან ჯარის მანევრები მოაწყვეს. რას ნიშნავს ეს ძნელი ვასაგებია. აქ საყურადღებოა ჯარის სულსკვეთების გარკვევა. წითელარმიელები აშკარათ ამბობდნენ, თუ ომი მოხდა, ჩვენ არ ვიბრძობლებთ, კომუნისტებმა იომონო.

გაცილებით უარესი ყოფილა მდგომარეობა რუსეთში. იქიდან როგორც კალიები საქართველოს მოედინენ «ექსკურსანტები». ეს დამშული ხალხი კავკასიაში მოსვლისთანავე თავისიანებს ატყობინებს: «მოვედით, გავქეხით («ნაქრალის»), კავკასიაში, სამოთხეა». რუსეთში ხალხს კაი ხანია დავიწყებული ჰქონია, რომ კვერცხი, კარაქი და ხორცი ადამიანის სავები საგანია.

ქართული უნივერსიტეტი გაუქმებულია. მის ნაცვლათ რამოდენიმე ინსტიტუტია დაარსებული, სადაც ლექციებს ხან ქართულათ, ხან კი რუსულათ კითხულობენ. რუსიფიკაციის ტალღა ისევ აგორდა, ლენინის ენას უპირატესობა ეძლევა.

მეორე კორესპონდენტი კიდევ ასე აგვიწერს კოლმეურნეობის საწინამდეგო მოძრაობას:

მოძრაობამ მწვავე ხასიათი კახეთში მიიღო. აქ მოხდა ნამდვილი აჯანყება კომუნისტების წინააღმდეგ. კახეთს, როგორც მევენახეობის და მესაქონლეობის მხარეს, საბჭოთა ქურუმებმა ყველაზე დიდი ყურადღება მიაქციეს და კოლექტივიზაციის გატარებაში აქ მეტ სიმტკიცეს იჩენდნენ. დამკვრელი ბრიგადები კახური ღვინით შეწარხმებულნი მოსა-

ხლეობას აწიკებდნენ და თავის სახლკარიდან ერეკებოდნენ. კახეთიდან ამ დროს გააძევეს 2,000-მდე გლეხი. ხალხი მათ წინააღმდეგ ამხედრდა და ბრძოლა გაჩაღდა. აჯანყების დროშა თელავის მაზრაში სოფელ მატანმა ააფრიალა და ბრიგადირები და კომუნისტები ცხვირპირდამტვრეულნი სოფლიდან გარქვა. მას აყვა ახმეტა, შემდეგ ზედა და ქვედა ალვანი (თუშების სოფლებია). ქისტაური და სხვები, მოძრაობაში ყველაზე აქტივობას ქალები იჩენდნენ. ხელისუფლება დაფრთხა და თბილისიდან წითელარმიელთა ნაწილები გაგზავნა. ამხედრებულებს მათთან რამდენიმე შეტაკება ქონდა, ორიათას კაცამდე ტყეში გაიხიზნა და იკუპანტების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა. ბრიგადირებიდან კახეთი უკვე დაცლილი იყო და კოლექტივები უკვე გაუქმებული. ოცდა ცენტრიდან შეჩერების ბრძანება მოვიდა. ხელიიუფლებამ ბოდიშის მოხდა დაიწყო და ხალხს დამშვიდებისაკენ მოუწოდებდა. ტყეში გასული ხალხი ნაწილი მთაში გაიხიზნა და ნაწილი ზაქათალას ოლქში გადავიდა. იქ ახერბეიქანის პარტიზანულ ჯგუფებს შეუერთდა და ბრძოლას აგრძელებდა. ამ რანგებმა დაიკავეს ზაქათალა და ნუხა. ეს ქალაქები ორი კვირის განმავლობაში აჯანყებულების ხელში იყო. მოძრაობის დროს კახეთში შეიპყრეს და გადაასახლეს 1,000 კაცამდე. ასეთსავე ამბებს ქონდა ადგილი სიღნაღის მაზრაშიც, განსაკუთრებით ქიზიყში სოფ. ნუკრიანში, მაშნაარში, ჯუგანში და სხვაგან. შირაქში, გარეთკახეთში და სხვაგან ამბოხებულებმა დასწვეს რამდენიმე საბჭოთა და კოლმეურნეობათა ქონება. კოლექტივიზაციის კამპანიამ კახეთში ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა მევენახეობას და მეცხვარეობას. ვენახი სავსებით დაუმუშავებელი დარჩა და მისი ინვენტარი მთლად განადგურდა. ამატომ ეს მეურნეობა თითქმის სრულიათ განადგურდა და ვენახი ნახევარზე მეტი ახმა. დღეს საქართველოს უკვე საყოფი ღვინოც აღარ აქვს, ცხვარი თავის პატრონებს ჩამოართვეს და მათი მოვლა სრულიად უვიც ხალხს ჩააბარეს. ბატკნობის დროს თითქმის ორ წილზე მეტი გაწყდა მოუფლეთობით და თუშური ცხვარის მეურნეობაც საფრთხეში ჩავარდა. კახეთში აჯანყებულებმა მოჰკლეს 150-მდე კომუნისტი და არმიელი.

ქართლში კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო მოძრაობა უფრო სხვა ხასიათისა იყო. აქ გლეხობა ეწეოდა აშკარა საბოტაჟს მის მიმართ და პასიურ წინააღმდეგობას. მას თითქმის არაფერი არ შექონდა კოლმეურნეობაში. შიგ შედიოდა წვერათ იძულებით, მაგრამ არაფერს აკეთებდა. იყო შემთხვევები მეურნეობათა ხშირი დაწვის და მანქანა-ინვენტარების გაფუჭების. აქ ადგილი ქონდა ხშირ ტერორისტულ აქტებს კომუნისტების და დამკვრელი ბრიგადების მიმართ. ქართლში კომუნისტებიც ხალხს აქეზებდნენ კოლმეურნეობათა საწინააღმდეგოთ. ქართლში მოჰკლეს 28 კომუნისტი. ქართლიდან გააძევეს და გადაასახლეს 1000-მდე გლეხი.

ახალციხის მაზრაში იყო მასიური გამოსვლები საკოლმეურნეო კამპანიის წინააღმდეგ. რამდენიმე სოფელში განაიარაღეს მილიცია და გეპეუს ნაწილე-



ბი და განდევნეს ინსტრუქტორები. მოძრაობამ იმდენათ ფართე ხასიათი მიიღო, რომ მის ჩასაქრობათ გაიყვანეს წითელი არმიელები და ეკვეუციები ჩააყენეს 15-მდე სოფელში. ხუთსამდე კაცი გადაასახლეს მახრიდან. ამდენივე მუსულმანი და ქრისტი. გლეხი იძულებული იყო გადასულიყო ოსმალეთში და იქ შეეფარებინა თავი. ერთ სოფელში პარტიზანებმა განაიარაღეს 50-მდე ჯარისკაცი, წართვეს ერთი ტყვიისმფრქვეველი და ამ იარაღითვე გადავიდნენ ოსმალეთის საზღვარზე. ახალციხის მახრიდან ბრიგადირებმა აპყარეს და გადაასახლეს 800 კომლი გლეხი. დახოცილთა რიცხვი აქ აღწევდა კომუნისტების მხრით 60 კაცს.

საკლმეურნეო საწინააღმდეგო მოძრაობამ ყველაზე უფრო ფართე და მასიური ხასიათი ბორჩალოს მაზრაში და ყარაიას რაიონში მიიღო. აქ მოხდა ნამდვილი ხალხური აჯანყება საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ და ბრძოლას ქონდა ნამდვილი ომის ხასიათი...

კლმეურნეობათა საწინააღმდეგო მოძრაობას დასავლეთ საქართველოშიც ფართე ხასიათი ქონდა. აქ ყველაზე შესანიშნავი სამეგრელოს ამბები იყო. სამეგრელოში მოძრაობაში მხოლოდ ქალები იღებდნენ მონაწილეობას. ისინი გადადიოდნენ ერთი სოფლიდან მეორეში და ანადგურებდნენ კლმეურნეობათა ქონებას, წვავდნენ-ამტვრევდნენ ინვენტარს და ცემა ტყეებით ისტუმრებდნენ კომუნისტებს და ბრიგადირებს. ყველაზე აქტივობას კომუნისტი და ღარიბი ქალები იჩენდნენ. სამეგრელოში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, სადაც ქალების გამოსვლას არ ქონდეს ადგილი (აქედან მოძრაობა სამურზაყანოსაც მოედდა). საერთოდ მოძრაობამ იმდენათ სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მის ჩასაქრობათ საკმარისი არ იყო ადგილობრივი ძალები და გამოიწვიეს წითელი ჯარის ნაწილები...

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ადგილებშიც თითქმის ყველგან ქონდა ადგილი გამოსვლებს. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ქონდა გამოსვლებს შორაპნის მაზრაში, რაჭაში, ლეჩხუმში, სოხუმის ოლქში და აჭარაში....

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ამბებმა დიდი გავლენა იქონიეს, როგორც ადგილობრივ ისე მოსკოვში მოკალათებულ დიქტატორებზე. დაქინებით ამბობენ, რომ სტალინის გადაბრუნებაც ამ საკითხში ამით იყო გამოაწვეული და შემდეგ წითელარმიელთა მღელვარებით...

### ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(გაზეთებიდან)

მესტია, 1 ოქტომბერი. 29 სექტემბერს სოფელ ფარში (ზემო სვანეთი) მოჰკლეს საქართველოს ცაკის წევრი არდევან ნარსავიძე.

— ს. თაბორის (ლეჩხუმი) არტელის სხდომაზე შევარდა პ. სადილიანი და სხდომა დაშალა.

— ს. ზოგისში (იქვე) ანტისაბჭოთა ელემენტებმა და «კულაკებმა» ცემა დაუბირეს აგრონომს და მი-

წათ-მომწყობს. ს. ცაგერში კლმეურნეობის გარეთ დარჩენილმა «კულაკებმა» განაცხადეს: დავიზოცებით და ჩვენს მიწებს კლმეურნეობას არ მივცემთო.

— ბორჯომის მომხმარებელთა კოოპერატივში საქონელს ჰყიდდნენ ყალიბი სასწორით, მიღებული ფეხსაცმელი დაურთავს მხოლოდ თავისიანებს, ფეკილს არ სცრიდნენ, პურის ცხობის დროს ფურნეში ქვებით წყალს სდგამდნენ, რომ პური მძიმე გამოსულიყო.

— ტყიბულის რაიონში კოოპერატივის ნოქრების მიერ ფულის გაფლანგვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

— ს. ლიაში (ზუგდიდ. მ.) კოოპერატივის გამგე და მოსამსახურენი თავის ნათესავებს ურიგებდნენ საქონელს და უკანასკნელნი ორმაგ ფასად ჰყიდდნენ სხვებზე.

— აჭარისტანის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეში სრული არვედარევაა, ოზურგეთის რაიონის მთელ რიგ სოფლებში ღებვა ვაშლი, მეტად ცუდად სწარმოებს თხილის დამზადება, ხოლო პირდაპირ კატასტროფულია თამბაქოს დამზადება აჭარისტანში.

— მუშკოვას გაუმჯობესება არ ეტყობა: სავაჭრო ოპერაციებს ისევ უსისტემოდ აწარმოებს, თავის უთავბოლოებით პანიკას ჰქმნის და ართულებს მომარაგების საქმეს.

— ს. ნუკრიანში (სიღნაღის მ.) ადგილობრივმა «კულაკებმა» ბევრი ბრძოლა აწარმოვეს არტელ «ლენინის ანდერძის» წინააღმდეგ: წვევრების დაშინება, მუქარა, ცემა, ცეცხლის წაქიდება, მკვლელობა და სხ. — ყველაფერს ამას მიმართავდნენ «კულაკები». ახლა საკუთარი არტელი დაარსეს და მით უნდათ ძირი გამოუთხარონ «ლენინის ანდერძს».

— ს. დირბის (გორის მ.) არტელის წვევრებს «კულაკებმა» აუქრეს ოთხი დღიური ვენახი.

### ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა კ ი თ ხ ი

მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიურომ ქენევაში წერილით მიმართა საბჭოთა სავარეო კომისარს ლიტვინოვს საქართველოს დასაცავად. ბიურო მოითხოვს, რომ თანახმად ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა რუსეთმა გაიყვანოს საქართველოდან თავისი ჯარები და მოახდინოს პლებისციტი.

### ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ უ ს ე თ შ ი

(ქურონალ-გაზეთებიდან)

უსახსრობის გამო მთავრობამ გააუქმა 125 დაწესებულება სხვადასხვა რესპუბლიკების. გაუქმებულ დაწესებულებათა შორის არის მოკავშირე რესპუბლიკების ოფიციალი წარმომადგენლობა მოსკოვის მთავრობასთან, აგრეთვე სხვადასხვა სარაიონო კომისარიატები, სახელდობ მიწათმოქმედების და ინდუსტრიის, რომელთა ადგილს დაიკავეს მოსკოვის ცენტრალური კომისარიატი.

— უკანასკნელ ხანებში დაატყვევეს ბევრი მაღალი თანამდებობის ოფიცერი. მათ ბრალი ედებათ შეთქმულებაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

— მოხდა გეპეუს რეორგანიზაცია, რომ უფრო აქტიური და ნაყოფიერი იქნეს მისი მუშაობა. პირველ რიგში გადაწყვიტეს იქნა მიიღონ სასტიკი ზომები «ნევოზგრაშენცების» წინააღმდეგ. ამისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის განკარგულებაში გადაიღო 60 მილ. ოქროს მანეთი. კომისიას ევალება მოაწყოს სახდვარგარეთ შპიონაჟი ემიგრანტთა შორის. გადაწყდა აგრეთვე, რომ გაიგზავნოს სახდვარგარეთ მხოლოდ ცოლიანები, რომლებიც ცოლშვილს ძველათ დატოვებენ რუსეთში. გეპეუს უფროსათ განზრახულია ორჯონიკიძეს დანიშვნა.

— აღმასრულებელმა კომიტ. გამოსცა დეკრეტი, რომლითაც იკრძალება 1932 წ. ნოემბრამდის გამოცვალს მუშის კვალიფიკაცია, ადგილი და ხარისხი. ამგვარათ იძულებითი შრომის ლეგალიზაცია ფაქტია.

— ნაციონალ ეკონომიის უშვალესმა საბჭომ გადასწყვიტა შეაჩეროს შენობების აგება ხუთწლიანი ეკონომიური გეგმის მიხედვით წამოყენებული და დაასრულოს მხოლოდ უადრესად საჭირო შენობების აგება. ოფიციალური მოხსენების მიხედვით, ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ შედეგები არ აღწევს ნავარაუდევ 80 პროც., როდესაც გაწეული ხარჯი 30 პროც-ით მეტია ვარაუდზე.

— პედროგრადში დაატყვევეს მრავალი პროფესორი. ექიმები და მწერლები. სხვათა შორის დატყვევებულია ალექსანდრე ტოლსტოი.

— კომ. პარ. რაიონულ კომიტეტების მდივნების ყრილობაზე ენუქიძემ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, სადაც ის ამტკიცებდა, რომ მსოფლიო რევოლუციისათვის ბრძოლა შევიდა გადამწყვეტ ფაზაში და გამარჯვების აუცილებელი პირობაა შეუბრალებელი გასრესა ყველა მათი, ვინც არ არის კომუნისტი; არ კმარა ბურჟუაზიის ნივთიერი დასუსტება, ის ფიზიკურათ უნდა იქნეს განადგურებული, რომ ადგილი დაიკლოს კომუნისტებისათვის. ფიქრობენ ეს სიტყვა სტალინის პროგრამაა და მთელიან წითელი ტერორის კიდევ უფრო გაძლიერებას.

**რას სწამან ბოლშევიკებო**

საფრანგეთის ყოფილი მინისტრი დალბიენი სწერს ვაზეთი «ერ ნუველ»-ში: დადგა ყამი, როცა ყველა ერი უნდა შეთანხმდეს საბჭოთა რუსეთის შესახებ. წავიდა დრო, როდესაც შესაძლებელი იყო ფიქრი, რომ ევროპის თითოეულს სახელმწიფოს შეუძლია განცალკევებულად მოურიგდეს მოსკოვს. ინგლისი ცთილობს ამას ახლა, მაგრამ ამ ცდის შედეგი უნაყოფო იქნება. სრულებით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ არ დაინახოს, რომ ყოველად მოუხერხებელია რაიმე პატიოსანი და ხანგრძლივი მორიგება რუსეთის დღევანდელ მართველებთან. შესაძლებელია საბჭოთა წყობილება მკვიდრი იყოს, ხოლო სტალინის მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, შერყეულია. ამის გაგებას გერმანიაშიც კი იწყებენ. თვით

ნაციონალისტებიც კი ვერ ბედავენ სტალინს დაუკავშირონ თავისი ბედი.

დალბიენის წერილს «ერ ნუველ»-ის რედაქცია თავის მხრით დასძენს: უგუნურობა იქნება უმოქმედოთ ვუცადოთ საბჭოთა წისწყობილების დეზორგანიზაციას და დარდვევას. სტალინს შეუძლია მართლა «მიაჯახოს კარები». ევროპას კმართებს სიფხიზლოე. უნდა კარგად ვადევნოთ თვალყური ამბებს და შევამზადოთ სათანადო დიპლომატიური მოქმედება.

— ბოლო დროს ვაზეთებში ხმები გავრცელდა გადატრიალების შესახებ მოსკოვში. ინგლისური «ნიუს კრონიკლ», რომელსაც საკუთარი კორესპონდენტი ყავს რუსეთში, განმარტავს, თუ რამ წარმოშვა ეს ხმები: ამ რამდენიმე დღის წინად პოლიტიკურში ირჩეოდა საკითხი რიკოვის და მისი მომხრეების დახვინის; ვოროშილოვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ თანდათან იზრდება უკმაყოფილება წითელარმიისადმი. სტალინი გაცხარდა და ვოროშილოვს დახვრეტი დაემუქრა. ვოროშილოვმა უპასუხა და უთხრა—საკმარისია ერთი ჩემი ბრძანება და მთელს კრემლს ჰაეროზლანებიდან ააფეთქებენო. კამათს ჩხუბი მოყვა და ძლივს-ძლივობით გააშველეს ორი ლიდერი. ამის შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება. სტალინმა უკან დაიხია, ვოროშილოვი მოურიგდა და მის მხარეზე გადავიდა. სტალინი დაპირდა ჯარის მდგომარეობის ვაგაუმჯობესებ და სასოფლო სამეურნეო პოლიტიკასაც შეეცვლიო... სტალინი ისევ საბჭოთა ბატონი ვახსნა, მაგრამ ინგლისური ვაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, მდგომარეობა მეტად დაჰიმუღია და მოსალოდნელია ახალი გართულებანი.

**ქართველები საზრანგეთში**

ნოემბრის 8-ს ქლექიანთა დამხმარე კომიტეტმა გამართა პირველი საღამო ამ სეზონში, რომელიც ფრიად ლამაზად იყო მოწყობილი.

— 9 ნოემბერს გაიმართა საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის კრება, რომელზედაც მოხდა არჩევნები. თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ცინცაძე, გამგეობის წევრებად: შ. აბდუშელი, ი. გოგოლაშვილი, ი. ზურაბიშვილი, ქ. ბ. გვარჯალაძისა, გენ. ი. ჯაფარიძე, შ. ბერიძე.

ახალი წიგნი  
გამოვიდა ნ. ქლდანიას ახალი წიგნი  
„**ვმეზხის ტყაოსანი**“  
გამოცემა ოდენკურის ქართველ ასოციაციის.  
წიგნი შეიცავს 84 გვერდს,  
დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, ლამაზი ყდობ,  
ღირს 8 ფრანკი.  
გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:  
M-r O U R A T A D Z E  
10, rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)  
France